პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

1928 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1928 წ. დეკემბრის 29 № 16 ნაწილი პირველი

## შინაარსი:

### ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

150. დადგენილება № 79 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სანადირო სასროლი იარაღისა და საამისო სასროლი მასალის ვაჭრობისა, ასაფეთქებელი ნივთიერებისა და დეტონიური მასალის გაცემისა და მათი შენახვის წესის შესახებ.

151. დადგენილება № 80 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სახლის სამოურაოს (სახლის პატრონი, მოიჯარადრე, სახლის მოურავი, მუნიციპალიზებული სახლის გამგე და კომენდანტი, სასტუმროს და გასაქირავებელი ავეჯიანი ოთახების პატრონი) მოვალეობის შესახებ სხვადასხვა ცნობების გაცემის სფეროში.

152. დადგენილება № 81 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შესახებ.

153. დადგენილება № 82 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—ა/კ. სფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის საქართველოს სსრ-ში უფლების მინიჭების შესახებ დააწესოს ადმინისტრატიული გადასახდელი ვაჭრობის მოწესრიგების წესით გამოცემული სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის.

154. დადგენილება № 83 ც. ა. კ.—საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის მიერ სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის ჩამოშორების თაობაზე 1921 წ. აპრილის 15-ის თარიღითა და 21 №-ით გამოცემული დეკრეტის მე-11 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

155. დადგენილება № 85 ც. ა. კ.—„წერა-კითხვის“ საზოგადოების კერძეულის ჩატარების შესახებ.

156. დადგენილება № 86 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—მუშათა ბინების მშენებლობის განმახორციელებელ საწარმოთა მიერ სასკოლო შენობების აგების შესახებ.

157 ფოლგ. №88 - ნოტარიალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

157. დადგენილება №-88 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სახელმწიფო ნოტარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ.

**სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.**

158. დადგენილება ს. კ. ს.—უპატრონო მოზარდებისა და ახალგაზრდობისათვის საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული შრომა-აღზრდის სახლის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება უპატრონო მოზარდებისა და ახალგაზრდობისათვის საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული შრომა-აღზრდის სახლის შესახებ.

159. დადგენილება ს. კ. ს.—სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების, სამანქანო, სამელიორაციო, სათესლე და სხვა მარტივ სასოფლო-სამეურნეო და აგრეთვე საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობათა წესდებების რეგისტრაციის წესის შესახებ.

160. დადგენილება ს. კ. ს.—„კოოპერაციის საქმეთა მმართველობისათვის“ 1927 წ. ივლისის 27 თარიღით გამოცემული დებულების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

161. დადგენილება ს. კ. ს.—კერძო მასწავლებლობის შესახებ.

---

# ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

## 150. დადგენილება № 79 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**სანადირო სასროლი იარაღისა და საამისო სასროლი მასალის ვაჭრობისა, ასაფეთქებელი ნივთიერებისა და დეტონიური მასალის გაცემისა და მათი შენახვის წესის შესახებ.**

„სანადირო სასროლი იარაღისა და სასროლი მასალის შეძენისა, რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის აპრილის 28-ის თარიღისა და მე-14 №-ის დადგენილების (კან. კრებ. 1925 წლ. მე-2 №-რი, მუხ. 48) გასაუქმებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სანადირო სასროლი იარაღისა და საამისო სასროლი მასალის საწყობში ბითუმად ვაჭრობის ნებართვას იძლევა გაერთიანებული პოლიტიკური სამმართველოს სამაზრო ორგანო, სამაზრო ადმინისტრატიულ განყოფილებასთან შეთანხმებით, ხოლო სადაც იგი არ არსებობს—სამაზრო მილიციის სამმართველოსთან შეთანხმებით.

2. მაღაზიაში ცალობით ვაჭრობის ნებართვას იძლევა სამაზრო ადმინისტრატიული განყოფილება, ხოლო სადაც იგი არ არსებობს—სამაზრო მილიციის სამმართველო—გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სამაზრო რწმუნებულთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაღარული სანადირო სასროლი იარაღისა და საამისო სასროლი მასალის შეძენისა, შენახვისა და სარგებლობის ნებართვას იძლევა სათანადო სამაზრო ადმინისტრატიული განყოფილება ან მილიციის სამმართველო.

4. სანადირო სასროლი დაუღარავი და მკვეთი იარაღის შეძენა, შენახვა და სარგებლობა შეიძლება ნებართვის აუღებლად და რეგისტრაციაში გაუტარებლად.

5. ბითუმად და ცალობით ვაჭრობისათვის ნებართვის გაცემისა და ამ ვაჭრობისათვის ტეხნიკური ზედამხედველობის გაწევის წესი, აგრეთვე სანადირო იარაღისა და საამისო საჭირო სასროლი მასალისა, ასაფეთქებელი ნივთიერებისა და დეტონიური მასალის ვაჭრობისა და გაცემისა, აგრეთვე მათი შეძენისა, შენახვისა და სარგებლობის წესები განისაზღვრება ინსტრუქციით, რასაც გამოსცემს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, მიწადმოქმედებისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან, სსრკ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა.-კ. სფსრ-ში), საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსთან და ა.-კ. სფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (საქართველოს სსრ-ში) შეთანხმებით.

6. სანადირო სასროლი იარაღისა და საამისო სასროლი მასალის ვაჭრობის წესების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის მე-111 მუხლის 1-ლი ნაწილით, ასაფეთქებელი ნიევთიერებისა და დეტონიური მასალის გაცემისა და შეძენის წესების დარღვევა—იმავე კოდექსის 202 მუხლის 1-ლი ნაწილით, ხოლო სანადირო სასროლი დაღარული იარაღისა და საამისო სასროლი მასალის შეძენისა და შენახვის წესების დარღვევა—სისხლის სამართლის კოდექსის 202 მუხლის მე-2 ნაწილით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმ.
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ.სახალხო კომისართა საბჭ.
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმ.
კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ოქტომბრის 31.
ტფილისი-სასახლე.

---

## 151. დადგენილება № 80 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**სახლის სამოურაოს (სახლის პატრონი, მოიჯარადრე, სახლის მოურავი, მუნიციპალიზებული სახლის გამგე და კომენდანტი, სასტუმროს და გასაქირავებელი ავეჯიანი ოთახების პატრონი) მოვალეობის შესახებ სხვადასხვა ცნობების გაცემის სფეროში.**

დასამატებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა 1926 წ. იანვრის 25-ს დადგენილებისა „სახლის პატრონთა, სახლის გამგებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათა და ბინის პატრონთა პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ საზღვრებში უცხოელ მოქალაქეთა შემოსვლისა და იმავე საზღვრებიდან გასვლის თაობაზე ცნობების შეუტყობინებლობისათვის“ (კან. კრებ. 1926 წ. 1-ლი №-ის ბე-2 მუხ.) და 1927 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილების „სახლის სამოურაოს მოვალეობის შესახებ, რაც დაკავშირებულია სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვისა და გაწვევასთან და ჯარისათვის ცხენებისა, საზიდავებისა და შესაბმელობის მიწოდებასთან“ (კან. კრებ. 1926 წ. მე-12 №-ის 166 მუხ.), აგრეთვე ერთი აქტით ყველა იმ მოვალეობის გასაერთიანებლად, რაც დაკისრებული აქვს სახლის სამოურაოს, და ამავე დროს ამ სფეროში მილიციის ფუნქციების შესამცირებლად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

დაეკისროს სახლის სამოურაოს (სახლის პატრონს, მოიჯარადრეს, სახლის მოურავს, მუნიციპალიზებული სახლების გამგეებს და კომენდატებს, სასტუმროსა და გასაქირავებელი ავეჯიანი ოთახების პატრონებს და სხვ.) შემდეგ მოვალეობათა შესრულება:

1. მოწმობის გაცემა იმის შესახებ, რომ ესა თუ ის ბავში ცოცხალია, ბავშის კვებისათვის დახმარების უფლების მისაღებად.

2. მოწმობის გაცემა იმის შესახებ, რომ ესა თუ ის პირი ამ სახლში ცხოვრობს, ვინაობის მოწმობისა და საუცხუეთო პასპორტის მისაღებად.

3. ოჯახის ავადმყოფი წევრის მოსავლელად დახმარების მიცემის შესახებ აღძრული შუამდგომლობის გამო ცნობის გაცემა, რომ ავადმყოფს დაზღვეულის გარდა სხვა არავინ ჰყავს მომვლელი.

4. დასწრება იმ პირთა ქონების შეფასებისა და აღწერის დროს, რომელზედაც სოციალური დაზღვევისა, გადასახადისა და გამოსაღების ნარჩენი ირიცხება.

5. დასწრება ფინისპექტორის მიერ სადგომის დათვალიერებისა, ქონების შეფასებისა და სათანადო ოქმებზე ხელის მოწერის დროს.

6. დასწრება სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებისას სასამართლო აღმასრულებლის მიერ მოვალის ბინისა ან საცავის დათვალიერებისა და გაღების დროს.

7. დასწრება მოვალის ქონების შეკვრის დროს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების წესით, უკეთუ ეს აქტი მოვალის დაუსწრებლად მოხდება.

8. დასწრება სასამართლო-საგამომძიებლო ხელისუფლებისა, გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოსი, სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციისა და საერთო მილიციის ორგანოების მიერ გაჩხრეკის დროს.

9. ჩაბარება სასამართლოს უწყებისა და სანოტარო კონტორის შეტყობინებისა, აგრეთვე დადგენილებისა— ადმინისტრატიული გადასახდელის შესახებ, უკეთუ თანამდებობის პირს, რომელმაც უწყება, შეტყობინება თუ დადგენილება უნდა ჩააბაროს, ადრესატი სახლში არ დახვდება.

10. გადასახადის გადამხდელისათვის, უკეთუ იგი დროებითაა წასული, საფინანსო ორგანოებისაგან მიღებული განცხადებისა, უწყებისა, შეტყობინებისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშენაწერო ფურცლისა და ყველა იმის ჩაბარება, რაც გადასახადის გასტუმრებას შეეხება.

11. სანიტარული ზედამხედველობის ორგანოებისათვის გადამდები სენის გაჩენის შეტყობინება.

12. ხელის შეწყობა სწრაფი დახმარების გამოსაწვევად უეცარი ავადმყოფობისა, ან რაიმე უბედურ შემთხვევაში.

13. ბინაზე დახმარების აღმომჩენი ექიმისათვის მარტოხელა მობინადრის ავადმყოფობის შეტყობინება.

14. სარენტო დაბეგვრის ობიექტების აღნუსხვა, რისთვისაც საჭიროა ბარათების შევსება მფლობელობისა და შენობის აღწერით: საცხოვრებელი სადგომებისათვის—თვით სახლის სამოურაოს ცნობების მიხედვით, ხოლო არასაცხოვრებელი სადგომებისათვის—ამ შენობის დამქირავებელის მიერ მიწოდებული ცნობების მიხედვით.

15. შედგენა და ფინინსპექტორისათვის თითო ცალად წარდგენა სახლში არსებულ კონტორათა, სახლში მყოფ აგენტთა, სავაჭრო, სამრეწველო და სხვა საწარმოთა, საზოგადოებათა და ამხანაგობათა გამგეობების სიებისა, აგრეთვე სახლში მცხოვრებ შინამრეწველთა, თავისუფალი პროფესიის პირთა, კულტის მსახურთა, ვაჭართა და სხვა იმ პირთა სიისა, რომელნიც არაშრომითი შემოსავლით ცხოვრობენ და იმ უმუშევართა სიისა, რომელნიც შრომის ბირჟაზე აღრიხულ არ არიან: ყველა ეს სია შედგენილ უნდა იქნეს იმ დოკუმენტალური ცნობების მიხედვით, რასაც აღნიშნული კატეგორიების მოქალაქენი წარადგენენ თავისი ხელობისა, პროფესიისა და არსებობის წყაროს შესახებ; ამის გარდა, შედგენა და წარდგენა ფინინსპექტორისათვის სახლში მცხოვრებ მუშათა და მოსამსახურეთა სიისა, იმ სტუდენტთა სიისა, რომელნიც სტიპენდიას იღებენ, იმ უმუშევართა სიისა, რომელნიც დახმარებას იღებენ, იმ პირთა სიისა, რომელნიც სახელმწიფო დაზღვევაზე იმყოფებიან, და სხვა კატეგორიების მშრომელთა სიისა—მათ მიერ წარდგენილი საანგარიშო წიგნაკებისა და მოწმობების მიხედვით.

16. საფინანსო განყოფილებისათვის ცნობების მიწოდება სახლის მფლობელობის ფარგლებში წარმოებულ რეწაობათა და არსებულ სავაჭრო, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა და საწყობთა შესახებ.

17. საფინანსო ორგანოებისათვის ცნობების მიწოდება გახსნილი მემკვიდრეობის შესახებ.

18. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის ცნობის მიწოდება აღმოჩენილი უპატრონო ქონების შესახებ.

19. სახლის საბინაო დავთრის წარმოება და სამისამართო ფურცლების წარდგენა მილიციის სარაიონო სამმართველოში.

20. ფოტოგრაფიული სურათის შემოწმება უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტისათვის.

21. იმ მოქალაქის ვანაობის დადასტურება, ვინც უწყებულ სახლში ცხოვრობს და მილიციაში იქნა დაპატიმრებული.

22. დახმარების აღმოჩენა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს თანამშომლისათვის ამა თუ იმ სტატისტიკური ცხობის გამო მიმართვის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. ცნობების მიცემა სახლში მცხოვრებ მოქალაქეთა ოჯახობრივი და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ (ოჯახის შედგენილობის შესახებ იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ მოქალაქის ოჯახში არ მოიპოვება შრომის უნარიანი წევრი, ოჯახის იმ წევრის შესახებ, რომელსაც მოქალაქე ინახავს, მოქალაქის ქონების შესახებ, უმუშევართა შესახებ).

II.

ცნობის თუ მოწმობის გამცემის ხელმონაწერი, აგრეთვე მისი ურთიერთობა სახლთან (სახლის პატრონი, კომენდანტი და სხვ.) დადასტურებულ უნდა იქნეს მილიციის მიერ.

III.

უკეთუ სახლის სამოურაოს არ მოეპოვება საჭირო ცნობები და ამის გამო იგი ვერ შესძლებს მოწმობისა ან ცნობის გაცემას, ეს მან უნდა აცნობოს მილიციის სათანადო ორგანოს და ამ მოწმობას თუ ცნობას მილიცია გასცემს.

IV.

მოწმობაში წინასწარი შეცნობით არასწორი, ან ტყუილი ცნობის შეტანისათვის, ან ასეთივე ცნობის გაცემისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

V.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, უნდა გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭოს რესპუბლიკის სახ. კომ. საბჭ. თავმჯდომარის მოად. **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ოქტომბრის 31.
ტფილისი—სასახლე.

---

## 152. დადგენილება № 81 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) საქართველოს სსრ რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წ. აპრილის 3-ს თარიღისა და 13 №-რის დეკრეტი;

ბ) საქართველოს სსრ რევოლიოციონური კომიტეტის მერ 1922 წლის თებერვლის 20-ს დამტკიცებული დებულება ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს კოლეგიის შესახებ.

გ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აგვისტოს 20-ს თარიღის დადგენილება ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სტატისტიკური საგეგმო კომისიის შესახებ, რომელი დადგენილებაც შეტანილია ახალ დებულებაში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სსსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ოქტომბრის 31.
ტფილისი—სასახლე.

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შესახებ.

### I. ზოგადი დებულებანი.

1. საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დაეკისრება მოაწესრიგოს სტატისტიკის საქმე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე. საერთო ხელმძღვანელობა და კანტროლი გაუწიოს საერთო-საკავშირო, საამიერ-კავკასიო-ფედერატიული და რესპუბლიკანური ერთიანი გეგმებით გათვალისწინებულ სტატისტიკურ მუშაობას და გააერთიანოს იგი, აგრეთვე უშუალოდ განახორციელოს, ამა დებულების თანახმად, სტატისტიკური ოპერაციები.

2. საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს აქვს ყველა ის უფლება, რაც საქართველოს სსრ კონსტიტუციით (ძირითადი კანონით) და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულებით ეკუთვნის საქართველოს სსრ გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებს.

3. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და თავისი მოქმედებით განახორციელებს სსრკ და ა/კ სფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების დირექტივებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საერთო-საკავშირო, საერთო-საამიერკავკასიო და რესპუბლიკანურ სტატისტიკურ მუშაობას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აწარმოებს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ა/კ სფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს საერთო ხელმძღვანელობით და ამ უკანასკნელის მიერ შემუშავებული პროგრამების მიხედვით.

5. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო თავის მუშაობას განახორციელებს უშუალოდ ან და სამაზრო სტატისტიკური განყოფილებისა და აფხაზეთის მოკავშირე სს რესპუბლიკისა და აჭარისტანის ავტონომიურ სს რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების და აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სტატისტიკური ბიუროს მეშვეობით.

**შენიშვნა.** აფხაზეთის მოკავშირე სსრ და აჭარისტანის ავტონომიური სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატისტიკური საოლქო ბიუროს მონაწილეობა საერთო-რესპუბლიკანური აღწერის წარმოებაში და ამ აღწერით შეკრებილი მასალის შემუშავებაში და აგრეთვე იმ სპეციალური დავალების შესრულებაში, რასაც სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მისცემს, თვითეულ ცალკე შემთხვევაში განისაზღვრება საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ.

6. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატიკური სამმართველოს მმართველი არის ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველის რწმუნებული, თანახმად ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დებულების 1-ლი კარის მე-5 მუხლისა, შემდეგ შემთხვევაში:

ა) საერთო-საამიერკავკასიო აღწერის წარმოებისა და მისი მასალის შემუშავებისა და აგრეთვე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალური დავალების შესრულების საქმეში;

ბ) საერთო-საკავშირო აღწერის წარმოებისა და მისი მასალის შემუშავების საქმეში.

## II. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამგებლობის საგანი.

7. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) განახორციელოს საქართველოს სსრ საბჭოთა ყრილობებისა, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და ეკონომიური საბჭოს დადგენილებანი სტატისტიკის საკითხების გამო; ზედამხედველობა გაუწიოს ამ დადგენილებათა აღსრულებას; შეასრულოს სსრკ და ა/კ სფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების დავალებანი; ზედამხედლველობა გაუწიოს ამ დავალებათა აღსრულებას და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დავალებათა აღსრულებას;

მოხ. ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს სამაზრო სტატისტიკურ განყოფილებათა და მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების და ავტონომიური ოლქის სტატისტიკური საოლქო ბიუროს მუშაობას;

გ) შეადგინოს სტატისტიკურ სამუშაოთა საპერსპექტივო და წლიური გეგმები და წარუდგინოს ისინი, საქართველოს სსრ სახელმწ. საგეგმო კომისიის დასკვნით, საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს;

დ) განახორციელოს და შეიმუშაოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სრულიად საკავშირო, საერთო-საამიერკავკასიო და რესპუბლიკანური აღწერები, შეადგინოს მთლად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ბალანსი და პურ-ფურაჟის ბალანსი და სასოფლო მეურნეობის სხვა პროდუქტების ბალანსი და აგრეთვე შეასრულოს სრულიად საკავშირო, საერთო-საამიერკავკასიო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის სხვა სამუშაო;

**შენიშვნა.** საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მონაწილეობა საერთო-საკავშირო და საერთო-საამიერკავკასიო აღწერის წარმოებაში და ამ აღწერით შეკრებილი მასალის შემუშავებაში და აგრეთვე იმ სპეციალური დავალების შესრულებაში, რასაც ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მისცემს, თვითეულ ცალკე შემთხვევაში განისაზღვრება ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ.

ე) დაამტკიცოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებებისა და აგრეთვე რესპუბლიკანური მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ სტატისტიკური მასალების შეგროვებისა და შემუშავების პროგრამები და წესი იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სამუშაო საერთო-რესპუბლიკანური გეგმით გათვალისწინებული არ არის;

ვ) განიხილოს სამუშაოთა პროგრამები და საორგანიზაციო გეგმები და მისცეს ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე წარმოებული ყველა სტატისტიკური მუშაობის შესახებ;

ზ) დაამტკიცოს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მიერ წარმოებული სტატისტიკური მუშაობის პროგრამები და საორგანიზაციო გეგმები;

თ) შეჯუმლოს და დაამუშაოს საერთო-რესპუბლიკანური მასშტაბით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სტატისტიკური სამმართველოებისა, ავტონომიური ოლქის სტატისტიკური ბიუროს, საქართველოს სსრ სახ. კომისარიატებისა და სხვა დაწესებულებათა მიერ, აგრეთვე საერთო რესპუბლიკანური მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ შეკრებილი და შემუშავებული სტატისტიკური მასალები;

ი) დაადგინოს და საავალდებულო ხელმძღვანელობისათვის მისცეს როგორც სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებს და ავტონომიური ოლქის სტატისტიკურ ბიუროს, ისე საერთო-რესპუბლიკანური მნიშვნელობის სხვა დაწესებულებასა, საწარმოს და ორგანიზაციას სტატისტიკური მასალების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკრეფისა და შემუშავების რაც შეიძლება უფრო სრულყოფილი მეთოლოგიური ფორმები, აგრეთვე მიიღოს ღონისძიებანი სტატისტიკური მუშაობის ტეხნიკის რაციონალიზაციისათვის;

კ) განახორციელოს ღონისძიებანი სტატისტიკის ცოდნის გავრცელებისათვის და სტატისტიკაში მომუშავეთა კადრის მომზადებისათვის. კერძოდ მოაწყოს სტატისტიკის სამეცნიერო დაწესებულებები, სტატისტიკის კურსები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები და სხვ.;

ლ) მიაწოდოს სტატისტიკური ცნობები სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმ. კ-ტისა, საქართველოს სსრ სახ. კ-თა საბჭოს შეკითხვებზე, აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და უწყებისა და საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მთავრობების შეკითხვებზე იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს არ მოითხოვს დამატებით სტატისტიკურ მუშაობას;

მ) გამოსცეს ყოველწლიური სტატისტიკური კრებულები, ბიულეტენები და სხვა პერიოდული გამოცემები, აღწერებისა და გამოკვლევების ცნობები და აგრეთვე ცალკე სტატ.-ეკონომიურ ხასიათის კრებულები, მიმოხილვები, მონოგრაფიები და სხვა მეცნიერული და პოპულიარული ნაშრომები სტატისტიკის სფეროში;

ნ) მოიწვიოს რესპუბლიკანური სტატისტიკური ყრილობები, თათბირები და კონფერენციები;

ო) დაამყაროს კავშირი უცხოეთის სტატ. ორგანიზაციებთან და იკისროს წარმომადგენლობა საქართველოს სსრ სახელით საერთაშორისო სტატ. ორგანიზაციებში და ყრილობებში.

8. დაკისრებული მიზნების განსახორციელებლად საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს უფლება აქვს მოსთხოვოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოს, აგრეთვე კერძო საწარმოსა და პირს მე-7 მუხ. გათვალისწინებულ სტატისტიკურ სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო ცნობებისა და მასალების წარდგენა ცენტრალური სტატისტიკური სამმაროველოს მიერ განსაზღვრულ ვადაზე.

9. ყველა სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაცია და აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფი კერძო საწარმო და პირი მოვალეა წარუდგინოს საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამართველოს უფასოდ, ორ ცალად, მათ მიერ გამოშვებული სტატისტიკური და სტატ.-ეკონომიური გამოცემა ერთი თვის ვადაზე გამოცემის გამოშვების დღიდან.

## III. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სტრუქტურა.

10. საქართველოს სსრ სტატ. სამმართველოს სათავეში სდგას მმართველი. მმართველს ჰყავს მოადგილე, რომელსაც დანიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო. მოადგილეს, მმართველის არ ყოფნის დროს, აქვს ყველა მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლება და მოვალეობა. მმართველთან არსებობს საქართველოს ს. ს. რ. ცენ. სტატ. სამმართველოს კოლეგია.

11. საქართველოს სსრ ცენ. სტატ. სამმართველოს შედგენილობაში შედის:

ა) სტატისტიკური საგეგმო კომისია;

ბ) საადმინისტრაციო-საფინანსო განყოფილება;

გ) სოციალური სტატისტიკის სექტორი;

დ) სოფლის მეურნეობის სტატისტიკის სექტორი;

ე) მრეწველობის სტატისტიკის სექტორი;

ვ) შრომის სტატისტიკის სექტორი;

ზ) აღებ-მიცემობის სტატისტიკის სექტორი.

ამის გარდა საქართველოს სსრ ცენ. სტატ. სამმართველოსთან არსებობს: სარედაქციო კოლეგია, რომელიც მოქმედებს საქართველოს სსრ ცენ. სტატ. სამმართველოს მმართველის მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად და სოფლის პროდუქციის დამფასებელი საექსპერტო საბჭო, რომელიც მოქმედობს საქართვ. სსრ ეკონომიურ საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად.

**შენიშვნა.** სტატისტიკური საგეგმო კომისია მოეწყობა სტატისტიკის სხვა და სხვა დარგების სპეციალისტების პერსონალური შერჩევის პრინციპზე. სტატისტიკური საგეგმო კომისიის პერსონალურ შედგენილობას დაამტკიცებს საქართველოს ეკონომიური საბჭო საქართველოს სსრ. ცენტრალური სტატ. სამმართველოს მმართველის წარდგენით.

## IV. საქართველოს სსრ ცენტრ. სტატისტიკური სამმართველოს ნაწილთა გამგებლობის საგანი.

12. საქართველოს სსრ ცენ. სტატ. სამმართველოს-სტატისტიკური საგეგმო კომისიის ხაზით დაეკისრება:

ა) შეადგინოს სტატისტიკურ სამუშაოთა რესპუბლიკანური გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს ყველა სტატისტიკურ მუშაობას, რაც წარმოებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ორგანო და ოგანიზაცია შეასრულებს ამ მუშაობას;

ბ) დაამტკიცოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებებისა, აგრეთვე რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ სტატისტიკური მასალის შეკრეფისა და შემუშავების პროგრამები და წესი, იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მუშაობა საერთო-რესპუბლიკანური გეგმით გათვალისწინებული არ არის;

გ) განიხილოს სამუშაოთა პროგრამები და საორგანიზაციო გეგმები და მისცეს ხოლმე დასკვნა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე წარმოებული ყველა სტატისტიკური მუშაობის შესახებ;

დ) დაამტკიცოს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტოლქის მიერ წარმოებული სტატისტიკური მუშაობის პროგრამები და საორგანიზაციო გეგმები;

ე) შეადგინოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ბალანსი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) თვალყური ადევნოს სახალხო კომისარიატებისა და სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ, აგრეთვე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ორგანოების მიერ სტატისტიკურ სამუშაოთა დამტკიცებული რესპუბლიკანური გეგმის შესრულებას და აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამუშაოთა დამტკიცებული საერთო-საამიერკავკასიო გეგმის შესრულებას;

ზ) განიხილოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოებისა, ავტონომიური ოლქის სტატისტიკური ბიუროს, სახალხო კომისარიატებისა და უწყებების საანგარიშო ცნობები სტატისტიკურ სამუშაოთა ფედერატიული და რესპუბლიკანური გეგმების შესრულების შესახებ და მისცეს ხოლმე ამის თაობაზე დასკვნა მთავრობის სათანადო ორგანოებს ან ა/კსფსრ ცენტრ. სტატ. სამმართველოს სტატისტიკურ საგეგმო კომისიას.

**შენიშვნა 1.** სტატისტიკურ საგეგმო კომისიაში „ბ“, „გ“, „დ“ და „ზ“ პუნქტით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დროს კომისიის სხდომაში მოწვეულ უნდა იქნენ სათანადო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა წარმომადგენელნი და აგრეთვე წარმომადგენელნი სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისა—კუთვნილებისამებრ.

**შენიშვნა 2.** სტატისტიკურ სამუშაოთა ერთიანი გეგმები წარედგინება განსახილველად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ამ უკანასკნელის მიერ მიღების შემდეგ საბოლოოდ დამტკიცებულად ჩაითვლება, უკეთუ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან და უწყებებთან უთანხმოება არ იქნა, ხოლო უთანხმოების დროს წარედგინება განსახილველად და დასამტკიცებლად სახალხო კომისართა საბჭოს.

13. საქართველოს სსრ ცენ. სტატ. სამმართველოს საადმინისტრაციო-საფინანსო განყოფილების ხაზით დაეკისრება:

ა) აწარმოოს საერთო მიწერ-მოწერა საქართველოს სსრ ცენ. სტატ. სამმართველოს საქმეების გამო;

ბ) შეიმუშაოს საქართველოს სსრ ცენ. სტატ. სამმართველოს შტატები და აწარმოოს ამავე სამმართველოს პირადი შედგენილობის აღნუსხვა;

გ) შეადგინოს და შეასრულოს საქართველოს ცენ. სტატ. სამმართველოს ხარჯთაღრიცხვა;

დ) განახორციელოს ღონისძიებანი საქართველოს სსრ ცენ. სტატ. სამმართველოს სტატ. მუშაობის ტეხნიკის რაციონალიზაციისათვის;

ე) იქონიოს ზედამხედველობა სტატისტიკის საკითხების სფეროში საქართველოს სსრ მთავრობის მიერ გამოცემულ დადგენილებათა და საქართველოს სსრ ცენ. სტატ. სამმართველოს მიერ გაცემულ განკარგულებათა აღსრულებისათვის და მიიღოს არსებული წესისამებრ სათანადო ღონისძიებანი აღნიშნულ დადგენილებათა და განკაოგულებათა შესასრულებლად.

ვ) განაგოს საქართველოს სსრ ცენ. სტატ. სამმართველოს საინფორმაციო ნაწილი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) განაგოს საქართველოს სსრ ცენ. სტატ. სამმართველოს გამომცემლობის საქმე, ბიბლიოთეკა და არქივი;

თ) განაგოს საქართველოს სსრ ცენ. სტატ. სამმართველოს სამეურნეო ნაწილი;

ი) განახორციელოს ღონისძიებანი სტატისტიკის ცოდნის გავრცელებისა და სტატისტიკაში მომუშავეთა კადრის მომზადებისათვის;

კ) მოაწყოს სრ. საქართველოს სტატისტიკური თათბირები, ყრილობები და კონფერენციები;

14. საქართველოს სსრ ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს სოციალური სტატისტიკის სექტორის ხაზით დაეკისრება:

ა) გამოარკვიოს საქართველოს სსრ მოსახლეობის რიცხვი და ამავე მოსახლეობის შედგენილობა დემოგრაფიული, ნაციონალური, სოციალური და პროფესიონალური ნიშნების მიხედვით;

ბ) აწარმოოს მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის სტატისტიკა;

გ) აწარმოოს საქართველოს სსრ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური შედგენილობის სტატისტიკა;

დ) აწარმოოს სახალხო განათლების სტატისტიკა;

ე) აწარმოოს დანაშაულობის სტატისტიკა;

ვ) აწარმოოს სახალხო ჯანმრთელობისა და სასანიტარო სამედიცინო სტატისტიკა;

ზ) აწარმოოს კომუნალური მეურნეობისა და საბინაო საქმის სტატისტიკა;

თ) აწარმოოს სოციალური უზრუნველყოფის სტატისტიკა;

15. საქართველოს სსრ ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის სექტორის ხაზით დაეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს სოფლის მეურნეობის კონიუნქტურას, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების წლიურ ციკლსა და ნათესების და ბალახეულობის მდგომარეობას;

ბ) შეისწავლოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი ელემენტები;

გ) გაოიანგარიშოს პურ-ფურაჟის ბალანსი, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ბალანსები და მთლად სოფლის მეურნეობის ბალანსი;

დ) შეისწავლოს სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისა და ინტენსიფიკაციის პროცესები;

ე) შეისწავლოს დიფერენციაციისა და განსაზოგადოების პროცესები სოფლის მეურნეობაში;

ვ) შეისწავლოს შრომის ორგანიზაცია სოფლის მეურნეობაში;

ზ) აწარმოოს გადასახლებისა და განსახლების სტატისტიკა:

თ) შეისწავლოს დაგროვების პროცესები და კაპიტალების რაოდენობა და შედგენილობა სოფლის მეურნეობაში;

ი)შეისწავლოს საგლეხო მეურნეობათა ბიუჯეტები და სოფლის მოსახლეობის საპირადო და სამეურნეო მოხმარების სფერო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. საქართველოს სსრ ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს მრეწველობის სტატისტიკის სექტორის ხაზით დაეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს მრეწველობის კონიუნქტურას;

ბ) შეისწავლოს სამრეწველო წარმოების ძირითადი ელემენტები;

გ) გამოიანგარიშოს სამრეწველო წარმოების ნატურალური და ფასეულობითი მოცულობა, აგრეთვე მრეწველობის ცალკე დარგების ბალანსები და მთლად მრეწველობის ბალანსი;

დ) შეისწავლოს მრეწველობის კონცენტრაციის პროცესები, სამრეწველო წარმოების რაციონალიზაცია და რეკონსტრუქცია, აგრეთვე გამოარკვიოს მსხვილი და წვრილი მრეწველობის თანაფარდობა;

ე) შეისწავლოს დაგროვების პროცესები და კაპიტალების რაოდენობა და შედგენილობა მრეწველობაში;

ვ) აწარმოოს ყოველგვარი მშენებლობის სტატისტიკა;

ზ) შეისწავლოს შრომის ნაყოფიერებისა და მუშა-ძალის ღირებულების მოძრაობა.

17. საქართველოს სსრ ცენტრ. სტატ. სამმართველოს შრომის სტატისტიკის სექტორის ხაზით დაეკისრება:

ა) აწარმოოს დაქირავებულ მუშათა რიცხვისა და შედგენილობის სტატისტიკა;

ბ) შეისწავლოს პროლეტარიატის არსებობის მატერიალური პირობები, კერძოდ, სამუშაო ხელფასი, საბიუჯეტო ინდექსი, მუშათა და მოსამსახურეთა ბიუჯეტები;

გ) აწარმოოს სამუშაო დროისა და მუშა-ძალის გამოყენების სტატისტიკა;

დ) აწარმოოს შრომის ბაზრისა და უმუშევრობის სტატისტიკა;

ე) გამოიანგარიშოს შრომის ბალანსები;

ვ) აწარმოოს შრომის დაცვის სტატისტიკა;

ზ) აწარმოოს შრომის სფეროში აღძრული კონფლიქტების სტატისტიკა;

თ) აწარმოოს კოლექტიურ ხელშეკრულებათა სტატისტიკა;

ი) აწარმოოს პროფესიონალური მოძრაობის სტატისტიკა;

კ) აწარმოოს სოციალური დაზღვევის სტატისტიკა;

ლ) შეისწავლოს სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომის სპეციალური პირობები.

18. საქართველოს სსრ ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს აღებ-მიცემობის სტატისტიკის სექტორის ხაზით დაეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს აღებ-მიცემობის კონიუნქტურას;

ბ) აწარმოოს საქონლის ფასების მოძრაობის სტატისტიკა და გამოიანგარიშოს ფასების ინდექსები;

გ) აწარმოოს ვაჭრობის ქსელის სტატისტიკა;

დ) აწარმოოს საქართველოს სსრ შინავაჭრობისა და საგარეო ვაჭრობის ბრუნვის სტატისტიკა;

ე) გამოიანგარიშოს საქონლის მასა და გამოარკვიოს ბაზრის ტევადობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) შეისწავლოს დაგროვების პროცესები და კაპიტალების რაოდენობა და შედგენილობა ვაჭრობაში;

ზ) აწარმოოს სარკინისგზო, ჭაპანზიდვის და წყლის ტრანსპორტის სტატისტიკა და გამოიანგარიშოს სატრანსპორტო ბალანსები;

თ) შეისწავლოს დაგროვების პროცესები და კაპიტალების რაოდენობა და შედგენილობა ტრანსპორტში;

ი) აწარმოოს სახალხო კავშირგაბმულობის სტატისტიკა;

კ) შეისწავლოს გადასახადების დაბეგვრის საკითხები;

ლ) შეისწავლოს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ბიუჯეტები;

მ) აწარმოოს ფულის ტრიალისა და საკრედიტო ოპერაციების სტატისტიკა;

ნ) აწარმოოს კოოპერაციის სტატისტიკა.

---

## 153. დადგენილება № 82 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის საქართველოს სსრ-ში უფლების მინიჭების შესახებ დააწესოს ადმინისტრატიული გადასახდელი ვაჭრობის მოწესრიგების წესით გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში მიენიჭოს უფლება, მის მიერ, ვაჭრობის მოწესრიგების წესით, გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის, დააწესოს შემდეგი ადმინისტრატიული გადასახდელი:

ა) ფულადი ჯარიმა არა უმეტეს ასი მანეთისა;

ბ) იძულებითი მუშაობა ვადით არა უმეტეს ერთი თვისა;

გ) დატუსაღება ვადით არა უმეტეს ერთი თვისა.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ გადასახდელს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ორგანოს ან მილიციის ორგანოს მიერ შედგენილი ოქმის მიხედვით, გადასწყვეტს სამაზრო ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი, ხოლო სადაც იგი არ არსებობს-სამაზრო, ქალ. ფოთში-კი—საქალაქო მილიციის უფროსი იმ წესით, რაც განსაზღვრულია დებულებით „სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-რი, მუხ. 100).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ჯარიმის გადახდით შემოსული ფულადი თანხა მიიქცევა ხაზინის შემოსავლად ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) სამმართველოს ხარჯთაღრიცხვით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ოქტომბრის 27.
ტფილისი—სასახლე.

---

## 154. დადგენილება № 83 ც. ა. კ.

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის მიერ სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის ჩამოშორების თაობაზე 1921 წ. აპრილის 15-ის თარიღითა და 21 №-ით გამოცემული დეკრეტის მე-11 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის მიერ სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის ჩამოშორების შესახებ 1921 წ. აპრილის 15-ს თარიღითა და 21 №-ით გამოცემული დეკრეტის მე-11 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 11. აკრძალულია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ქვეშ, რელიგიურ მოძღვრებათა სწავლება ყველა იმ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო სასწავლებელში, სადაც კი საერთო განათლების ხასიათის საგნებს ასწავლიან, ხოლო მცირეწლოვანთა და არასრულწლოვანთათვის, გარდა ამისა, კიდევ ყველა საზოგადო საკრებულო ადგილსაც (ეკლესია, სინაგოგა, მეჩეთი, სამლოცველო სახლები და სხვ.); რელიგიური მოძღვრების სწავლება ან მისი შესწავლა მოქალაქეებს შეუძლიათ კერძოდ.

სრულიად საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ოქტომბრის 8.
ტფილისი—სასახლე.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 155. დადგენილება № 85 ც. ა. კ.

### „წერა-კითხვის“ საზოგადოების კვირეულის ჩატარების შესახებ.

„წერა-კითხვის“ საზოგადოების მატერიალური სახსარის გაძლიერებისა და მისი მიზნებისა და იდეების პოპულიარიზაციისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს „წერა-კითხვის“ საზოგადოებას მოაწყოს საქართველოს სსრ-კის ტერიტორიაზე კვირეული 1928 წ. ნოემბრის 24-დან 30-დე თანჩართვით შემდეგ მუხლებში აღნიშნულ საფუძვლებზე:

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში „წერა-კითხვის“ საზოგადოებას ნებადართული აქვს:

ა) მოაგროვოს ყულაბებით ნებაყოფლობითი გამოსაღები ყველგან: ქუჩებში, საჯარო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებათა სადგომებში;

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

გ) გამართოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები საზოგადოების მიზნების შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეუძლიან გამოიყენოს საზოგადოებრივი აუდიტორიები და კინო-თეატრების სადგომები, აგრეთვე რადიო-გადაცემა.

3. დაიბეგროს ნოემბრის 24—30-მდე თანჩართვით „წერა-კითხვის“ საზოგადოების სასარგებლოდ:

ა) სპეციალური გამოსაღებით ყოველგვარ გასართობსა და სანახაობებზე (თეატრი, კინო, ცირკი, დოღი და სხვ.) შესასვლელი ბილეთები ბილეთის ღირებულების 10%-ს რაოდენობით;

ბ) სპეციალური გამოსაღებით ყველა რესტორანისა, სასტუმროს და სასადილოს ბრუნვა ერთი კვირის საშუალო ბრუნვის 10%-ს რაოდენობით;

გ) სპეციალური გამოსაღებით აბანოებში ცალკე ნომრების სარგებლობით მიღებული შემოსავალი ნიხრით დაწესებული ღირებულების 10%-ს რაოდენობით.

4. წინადადება მიეცეს ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს გამოუშვას კვირეულის განმავლობაში მთავარი ხაზებით მოძრაობისათვის ტრამვაის ორი ვაგონი, რომლის მთელი შემოსავალიც გადასცეს „წერა-კითხვის“ საზოგადოებას.

5. ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათ განახორციელებს „წერა-კითხვის“ საზოგადოება საამისოდ ცალკე მოწყობილი კვირეულის ჩამტარებელი კომიტეტის მეშვეობით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ნოემბრის 13.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 266 №-ში 1928 წ. ნოემბრის 17-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 156. დადგენილება № 86 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**მუშათა ბინების მშენებლობის განმახორციელებელ საწარმოთა მიერ სასკოლო შენობების აგების შესახებ.**

მუშათა ბინების მშენებლობის განმახორციელებელ საწარმოთა მიერ სასკოლო შენობების აგების შესახებ 1928 წ. თებერვლის 22-ს თარიღით გამოცემული სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1928 წ. მე-13 №-რი, მუხ. 112) მე-5 მუხ. თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი. კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ის რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სამრეწველო საწარმო, რომელიც უშუალოდ ანხორციელებს მუშათა ბინების მშენებლობას, მოვალეა, უკეთუ სათანადო რაიონში არსებული სასკოლო შენობები საკმარისი არ არის ამ რაიონში მცხოვრებ მუშების საჭიროებათა სავსებით დასაკმაყოფილებლად, გაითვალისწინოს მუშათა ბინების მშენებლობის გეგმაში—მუშათა ბინების მშენებლობისათვის გადადებული სახსარით საჭირო შენობების აგება იმ შრომის სკოლებისათვის, რომელიც მომსახურეობას უწევენ აღნიშნული საწარმოს მუშათა ბავშვებს.

**შენიშვნა**. განათლების სახალხო კომისარიატს დაევალება, ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებთან და საბჭოებთან შეთანხმებით, განსაზღვროს რაიონები, სადაც სასკოლო შენობები საკმარისი არ არის და აგრეთვე ტიპი იმ სკოლებისა, რომლებიც გახსნილი უნდა იქნეს ამ რაიონებში; ამასთანავე, სია იმ რაიონებისა ყველა ზემოაღნიშნულ ცნობებით ეუწყება სათანადო სამრეწველო საწარმოს.

2. საწარმოს მიერ სასკოლო მშენებლობის განხორციელების გეგმა შეთანხმებულ უნდა იქნეს სათანადო ადგილობრივ საბჭოსთან.

საწარმოს მიერ აგებული სასკოლო შენობა გადაეცემა ადგილობრივ საბჭოს და დაეკისრება მას ვალდებულება გადაიხადოს სასკოლო შენობის ღირებულება იმ პირობებში, რაც დადგენილ იქნება შეთანხმებით.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნული საწარმო მოვალეა მიუჩინოს მის მიერ აგებული სკოლის პედაგოგიურ და მომსახურე პერსონალს ბინა საწარმოს მუშებისათვის განსაზღვრულ საერთო საფუძველზე.

4. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ახლად აგებულ სასკოლო შენობაში კომუნალური ხასიათის მომსახურეობას ეწევა უშუალოდ თვით საწარმო, ამ მომსახურეობის ღირებულება უნდა აენაზღაუროს საწარმოს ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე—იმ რაოდენობით, რაც ეს მომსახურეობა უჯდება თვით საწარმოს; ხოლო, უკეთუ აღნიშნული თვითღირებულება აღემატება ამ რაიონის სკოლებისათვის დაწესებულ შეღავათიან ტარიფს ამ შეღავათიანი ტარიფით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და განათლების სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევათ გამოსცენ ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტ. აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ოქტომბრის 8.
ტფილისი-სასახლე.

---

## 157. დადგენილება № 88 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**სახელმწიფო ნოტარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხ. წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წ. მაისის 28-ს დამტკიცებული სახელმწიფო ნოტარიატის დებულება (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 21) ყველა შემდგომ მიღებული ცვლილებით (კან. კრ. 1927 წ. მე-4 №-რი, მუხ. 68 და მე-8 №-რი, მუხ. 115).

3. საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების დებულების 56 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: „სანოტარო მოქმედებათა შესასრულებლად საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ქალაქებში და სხვა დასახლებულ ადგილებში დაარსდება სახელმწიფო სანოტარო კონტორები, რომელთა ორგანიზაცია და მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის განსაკუთრებული დებულებით“.

4. საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების დებულებიდან ამოიშალოს 57, 58, 59, 60, 61 და 62 მუხლები.

5. „სათემო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გარიგებათა, ხელშეკრულებათა და დოკუმენტთა შემოწმების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების 1-ლი მუხლი (კან. კრ. 1926 წ. მე-3 №-რი, მუხ. 72) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: „უკეთუ იმ ქალაქში ან სოფლად, სადაც არსებობს აღმასრულებელი კომიტეტი, არ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იპოვება სანოტარო კონტორა და სახალხო მოსამართლე, გარიგებათა დამოწმებას და სხვაგვარ შემოწმებას მოახდენს თემის აღმასრულებელი კომიტეტი ქვემოაღნიშნული მუხლების მიხედვით".

6. წინა მუხლში აღნიშნული დადგენილებიდან „ხათემო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გარიგებათა, ხელშეკრულებათა და დოკუმენტთა შემოწმების შესახებ" ამოიშალოს 1-ლი მუხლის შენიშვნა.

7. გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წლის მარტის 6-ს დადგენილებით დამტკიცებული (კან. კრ. 1-ლი №-რი, მუხ. 14) „გირავნობის მოწმობის გაცემისა და სარგებლობის წესები" შემდგომ მიღებული ცვლილებებით (კან. კრ. 1927 წ. მე-9 №-რი, მუხ. 126).

8. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსიდან ამოიშალოს მე-XXII თავი (124—128 მუხ.), 196 და 197 მუხ. და XXIV თავი (210—219 მუხ.).

9. გაუქმებულ იქნეს დებულება საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლო წყობილებისა და ზედამხედველობის განყოფილებასთან არსებული სანოტარო ქვეგანყოფილების შესახებ (კან. კრებ. 1928 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 4.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ნოემბრის 19.
ტფილისი-სასახლე.

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ.

## ნ ა წ ი ლ ი I.

### ნოტარიატის ორგანიზაცია.

#### თავი I. სახელმწიფო ნოტარიატის დაწესებულებანი.

1. ამა დებულებით გათვალისწინებული სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის ქალაქებსა და სხვა დასახლებულ ადგილებში მოეწყობა სახელმწიფო სანოტარო კონტორები, რომელთა რიცხვს, სათანადო ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით, განსაზღვრავს იუსტიციის სახალხო კომისარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენიშვნა.** იქ, სადაც სანატორო კონტორა არ იქნება მოწყობილი, ყველა მისი ფუნქციის შესრულება დაეკისრება სახალხო მოსამართლეს.

2. ისეთ დასახლებულ ადგილას, სადაც სანატორო კონტორა არ იქნება მოწყობილი და არც სახალხო მოსამართლეა, გარიგებათა სანატორო დამოწმება და სხვა სანოტარო ფუნქციის შესრულება დაეკისრება სათემო აღმასრულებელ კომიტეტს იმ ფარგლებში, რაც განსაზღვრულია საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წ. ივნისის 22 დადგენილებით „სათემო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გარიგებათა, ხელშეკრულებათა და დოკუმენტთა შემოწმების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1926 წ. მე-3 №-რი, მუხ. 72).

3. სანოტარო კონტორის სათავეში სდგას ნოტარიუსი. ნოტარიუსს დანიშნავს იუსტიციის სახალხო კომისარი, სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენით, იმ პირთაგან, რომელთაც უფლება აქვთ არჩეულ იქნენ სახალხო მოსამართლედ და რომელნიც სპეციალურ გამოცდას ჩაბარებენ იუსტიციის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციაში განსაზღვრული წესით.

ნოტარიუსის მოადგილე იქ, სადაც ასეთი თანამდებობაა დაწესებული, დანიშნება იმავე წესით, როგორც ნოტარიუსი.

**შენიშვნა.** ნოტარიუსად არ შეიძლება იყოს ის, ვინც სამარცხვინო საქციელისა და ყოფაქცევისათვის გამორიცხულია საზოგადოებრივ და პროფესიონალურ ორგანიზაციიდან სამი წლის განმავლობაში გამორიცხვის დღიდან—ხოლო დანაშაულისათვის მსჯავრდადებული იმ დრომდე, ვიდრე სამართალში მყოფელობა არ გაქარწყლდება.

4. ნოტარიუსს და მის მოადგილეს არ შეუძლიან დაიჭიროს სხვა სახელმწიფო თანამდებობა, იყოს დამცველთა კოლეგიის წევრი, დაქირავებით იმსახუროს სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში და კერძო პირთან, არ შეუძლიან აგრეთვე სავაჭრო და სამრეწველო საწარმოში მონაწილეობის მიღება. ხოლო არ ეკრძალებათ მათ არჩევითი თანამდებობის დაჭერა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში, და აგრეთვე მასწავლებლის თანამდებობისაც.

5. სანოტარო კონტორის დანარჩენ თანამშრომლებს დანიშნავს და დაითხოვს, ნოტარიუსის წარდგენით, იუსტიციის სახალხო კომისარიატი.

6. სანოტარო კონტორებს ხელმძღვანელობას გაუწევს იუსტიციის სახალხო კომისარიატი.

7. სახელმწიფო სანოტარო კონტორას აქვს საღერბო ბეჭედი, რომლის ტვიფარი და ნოტარიუსისა და მისი მოადგილის ხელმონაწერის დედნის ნიმუშები გაეგზავნება იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

8. სანოტარო კონტორა აწარმოებს, იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული ფორმით, შემდეგ დავთრებს: ა) რეესტრს, სადაც ჩაიწერება კონტორაში შესრულებული ყველა მოქმედება (თამასუქის პროტესტის გარდა): გარიგების დამოწმება, ყოველგვარი შემოწმება, უდავო გარემოების დადასტურება, ასლის და ამონაწერის გაცემა და სხვ., აგრეთვე გადახდევინებული გამოსაღები და ბაჟი; ბ) განსაკუთრებულ რეესტრს თამასუქების პროტესტის ჩასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერად; გ) საალფაბეტო სარჩევებს რეესტრებისათვის; დ) ფულის დავთარს კონტორაში შესული ფულისა და დოკუმენტების ჩასაწერად და აგრეთვე შესული ფულის ხარჯვის ჩასაწერად.

**შენიშვნა.** რეესტრში აღინიშნება მხარეთა ვინაობისა და უფლებაუნარიანობის, აგრეთვე მათი წარმომადგენლების უფლებამოსილობის შემოწმების წესი და ამა თუ იმ შესამოწმებელი გარემოების დასამტკიცებლად წარდგენილი დოკუმენტები.

9. დავთრები და რეესტრები, გარდა საალფაბეტო სარჩევებისა, დანომრილი, ზონარგაყრილი და ფურცლობრივად შემოწმებული უნდა იყოს. ამ დავთრებსა და რეესტრებს ხელს მოაწერს იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლო მმართველობის განყოფილების გამგე და დაესმის ამავე განყოფილების ბეჭედი, უკეთუ სანოტარო კონტორა ტფილისშია, ხოლო, უკეთუ სანოტარო კონტორა ტფილისის გარეშეა, იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლო მმართველობის განყოფილების გამგის დაკალებით, დავთრებსა და რეესტრებს შეამოწმებს სათანადო სამაზრო სასამართლოს მდივანი, ხელს მოაწერს სამაზრო მოსამართლე და დაესმება სამაზრო სასამართლოს ლუქის ბეჭედი. ხარვეზებს დავთრებსა და რეესტრებში ხაზი უნდა გადაესვას, ამოფხეკა არ შეიძლება, ხოლო ყოველგვარი შესწორება და მინაწერი სხვა ფერის მელნით უნდა იყოს და სათანადო ჩანაწერის ბოლოში აღინიშნოს ნოტარიუსის ხელმოწერით. სანოტარო დავთრები და რეესტრები ყოველი წლის დამლევს დამთავრებულ უნდა იქნეს და ყველა დანართით გადაეგზავნოს სანოტარო არქივს. ამის გარდა, ნოტარიუსი მოვალეა, არა უგვიანეს მომავალი წლის იანვრის 2-სა, აცნობოს სასამართლო მმართველობის განყოფილებას, თუ რამდენი ნომერია სარეესტრო დავთარში.

### თავი II. სახელმწიფო სანოტარო კონტორის ფუნქციები.

10. სახელმწიფო სანოტარო კონტორის საგამგებლო საგანს შეადგენს: 1) გარიგების სანოტარო წესით დამოწმება; 2) თამასუქის პროტეტის ქმნა 3) საქონლის საწყობის მიერ გაცემული გირავნობის მოწმობის (ვარრანტის) პროტესტის ქმნა; 4) საზღვაო პროტესტის ქმნა; 5) დოკუმენტის ასლისა და დავთრის ან დოკუნეტის ამონაწერის სისწორის შემოწმება; 6) დოკუმენტზე ხელმონაწერის სინამდვილის შემოწმება; 7) დოკუმენტის წარდგენის დროის შემოწმება; 8) ამა თუ იმ პირის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის შემოწმება; 9) ერთი პირისა თუ დაწესებულებისაგან მეორე პირისა ან დაწესებულებისათვის განცხადების გადაცემა და გადაცემული განცხადების შესახებ მოწმობის მიცემა; 10) დოკუმენტების შენახვა; 11) ვალდებულების საგნის (ფულისა და ფასიანი ქაღალდების) დეპოზიტად მიღება კუთვნილებისამებრ გადასაცემად; 12) საპროტესტოდ წარდგენილი თამასუქის გასანაღდებლად შეტანილი ფულადი თანხის მიღება კუთვნილებისამებრ გადასაცემად; 13) სანოტარო მოქმედების შესრულების დროს ტეხნიკური მომსახურეობის გაწევა; 14) ერთი ენიდან მეორეზე გადათარგმნა და თარგმანის სისწორის შემოწმება; 15) აღსრულების წარწერის გაკეთება დოკუმენტზე; 16) მემკვიდრეობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემა; 17) დამამტკიცებელი საბუთის უზრუნველყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოაღნიშნული ფუნქციების გარდა, ქალაქ ტფილისისა და ქუთაისის სანოტარო კონტორებს, რომლებიც ამავე დროს განაგებენ: პირველი—აღმოსავლეთი საქართველოს, ხოლო მეორე—დასავლეთ საქართველოს სანოტარო არქივს, დაეკისრება: ა) შენობისა და აღნაგობის უფლების შეკვრა, აგრეთვე ამ შეკვრის პირობების შეცვლა და მისი მოხსნა; ბ) გირავნობის მოწმობისა, შემოწმებისა და ყოველგვარი საარქივო ცნობისა და ამონაწერის გაცემა; გ) რეგისტრაცია სანოტარო წესით დამოწმებული გარიგებისა და სხვა უდაო დოკუმენტისა (სასამართლოს დადგენილებისა და აღსრულების ფურცლის) შენობისა და აღნაგობის უფლების განსხვისებისა და დაგირავების შესახებ და დ) სანოტარო არქივის მასალის შენახვა.

### თავი III. სანოტარო კონტორის მუშაობის საერთო წესები.

11. უკეთუ ნოტარიუსი წასულია სადმე, ავად არის ან სამსახურში არ იმყოფება, მისი მოვალეობის შესრულება, საამისოდ განსაკუთრებული განკარგულების მოუხდენლად, დაეკისრება მის მოადგილეს ან და, თუ მოადგილე არ არის, უახლოეს სახალხო მოსამართლეს.

12. ნოტარიუსს ან მის მენაცვლეს არ შეუძლიან იმ სანოტარო კონტორაში, რომელსაც იგი განაგებს, შეასრულოს თავისი მეუღლისა, თავისი და მეუღლის პირდაპირი (აღმავალი და შთამავალი) შტოის ნათესავებისა, თავისი და მეუღლის ძმებისა და დებისა, აგრეთვე სანოტარო კონტორის თანამშრომლების სახელითა და მათ სახელზე რაიმე სანოტარო მოქმედება.

13. ხელშეკრულება არამუნიციპალიზაციაქმნილი შენობის განხვისებისა და დაგირავების ან აღნაგობის უფლების დამყარებისა, განხვისებისა და დაგირავების შესახებ დამოწმებულ უნდა იქნეს იმ ადგილის სანოტარო კონტორაში, სადაც შენობა ან სააღნაგოდ გაცემული მიწის ნაკვეთი მდებარეობს. ჩანაწერი შენობის ან აღნაგობის უფლების გადაგირავებისა და ამ გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის გადაცემის შესახებ, აგრეთვე ჩანაწერი გირავნობის მოსპობის შესახებ დამოწმებულ უნდა იქნეს იმავე სანოტარო კონტორაში, სადაც დამოწმებულია გირავნობის გარიგება. მემკვიდრეობის უფლების მოწმობას გასცემს იმ ადგილის სანოტარო კონტორა, სადაც მემკვიდრეობა გაიხსნა (სამ. სამ. კოდ. 430 მუხ. მე-2 შენიშვნა). ყველა სხვა სანოტარო მოქმედება შეიძლება შესრულებულ იქნეს საქართველოს სსრ ფარგლებში არსებულ ყოველ სანოტარო კონტორაში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, რაც კანონში ცალკეა აღნიშნული.

14. შენობისა და აღნაგობის უფლების შეკვრის რეგისტრაციას, გირავნობის მოწმობის გაცემას, აგრეთვე უდავო დოკუმენტების რეგისტრაციას და სანოტარო არქივიდან მოწმობისა და ცნობების მიცემას აწარმოებს აღმოსავლეთ საქართველოში—ქ. ტფილისის სანოტარო კონტორა, ხოლო დასავლეთ საქართველოში—ქ. ქუთაისის სანოტარო კონტორა.

15. თამასუქების პროტესტი, დეპოზიტად მიღება ვალდებულების საგნისა კუთვნილებისამებრ გადასაცემად და სხვა სანოტარო ფუნქციების შერულება იმ ქალაქებში, სადაც რამდენიმე სანოტარო კონტორაა, შეიძლება იუსტიციის სახალხო კომისარიატის განკარგულებით დაეკისროს ერთ რომელსამე სანოტარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტორას. იუსტიციის სახალხო კომისარიატის განკარგულებითვე შეიძლება გატარებულ იქნეს ამ კონტორების სპეციალიზაცია და თვითეულ მათგანს დაეკისროს მხოლოდ ერთი რომელიმე სანოტარო მოქმედების შესრულება. შეიძლება აგრეთვე ამ კონტორების გაერთიანება.

16. ყოველგვარი სანოტარო მოქმედების შესრულების დროს სახელმწიფო ნოტარიუსმა თვალყური უნდა ადევნოს, რათა მის მიერ დამოწმებული გარიგება და სანოტარო კონტორიდან გასული დოკუმენტი არ ეწინააღმდეგებოდეს კანონს და ამ გარიგებასა და დოკუმენტზე გადახდილ იქნეს დაწესებული გამოსაღები.

17. ნოტარიუსი მოვალე არ არის გამოარკვიოს, რამდენად მიზანშეწონილია სანოტარო დამოწმებისათვის წარდგენილი გარიგება და დოკუმენტი, რამდენად სასარგებლო ან საზარალოა მხარეებისათვის გარიგება, ხოლო სანოტარო მოქმედების შესრულების დროს, იგი მოვალეა აქტიურად ხელი შეუწყოს მშრომელთ მათი უფლებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, და რათა მათი იურიდიული მოუმზადებლობა, უვიცობა და სხვა ამგვარი გარემოება მათ საზარალოდ არ იქნეს გამოყენებული, ვალდებულია განუმარტოს მათ თუ, რა ვალდებულებას კისრულობენ და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ ვალდებულებას.

18. ნოტარიუსმა და სახელმწიფო სანოტარო კონტორის თანამშრომლებმა უნდა დაიცვან მაო მიერ შესასრულებელი სანოტარო მოქმედების საიდუმლოება. საიდუმლოების გახმაურება გამოიწვევს საქართველოს სსრ სისხლ. სამ. კოდ. 127 მუხლ'ში გათვალისწინებულ შედეგს.

19. ცნობები მიეცემა მარტოოდენ გარიგების მონაწილე ან სათანადო დოკუმენტის გამცემ პირს; ცნობები გაიცემა აგრეთვე პროკურატურისა, სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოების მოთხოვნით და კანონში სპეციალურად გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაშიც.

**შენიშვნა.** იუსტიციის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს განკარგულება გასცეს, რათა მთავრობის დაწესებულებათ, სახელმწიფო ინტერესის დასაცავად, ეძლეოდეთ სანოტარო კონტორების დავთრებიდან და საქმეებიდან ცნობები განსაზღვრული კატეგორიის საქმეთა შესახებ.

20. ყოველი სანოტარო მოქმედება, ვიდრე მას ხელს მოაწერდეს ნოტარიუსი, უნდა ჩაიწეროს რეესტრში.

21. გარიგების სანოტარო წესით დამოწმება უნდა მოხდეს ან უარი ამ მოქმედებაზე განცხადებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს სამი დღისა სათანადო დოკუმენტის წარდგენის დღიდან. სანოტარო კონტორის უარი ამა თუ იმ მოქმედების შესრულებაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, წერილობით უნდა იქნეს გამოთქმული, უარის მიზეზისა და სათანადო მომქმედი კანონის აღნიშნვით.

22. სანოტარო მომქმედების შესრულება შეიძლება მხოლოდ მის შემდეგ, რაც გადახდილ იქნება ხვედრი გამოსაღები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სანოტარო მოქმედება განთავისუფლებულია გამოსაღებისაგან.

23. ნოტარიუსს უფლება აქვს მიიღოს მთავრობისა და საზოგადოებრივ დაწესებულებებიდან და კერძო პირებისა და ორგანიზაციებისაგან საჭირო ცნობები, რისთვისაც შეუძლიან ან პირდაპირ მიმართოს მათ ან და მისცეს სანოტარო მოქმედების მონაწილე პირთ მოწმობა საჭირო ცნობის მისაღებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი II.

## სანოტარო მოქმედების შესრულების წესი.

### თავი IV. საერთო წესები.

24. გარიგება და დოკუმენტი შეიძლება დაიწეროს ქართულ ენაზე ან და სხვა ენაზე ქართულზე გადმოთარგმნით. თარგმანის სისწორეს შეამოწმებს ნოტარიუსი. უკეთუ ნოტარიუსმა არ იცის ენა, რაზედაც დაწერილია გარიგება, თარგმანის სისწორეს შეამოწმებს ვინმე ისეთი პირი, ვისაც ნოტარიუსი პირადათ იცნობს. ნოტარიუსი შეამოწმებს აგრეთვე მთარგმნელის ხელმონაწერსაც.

25. ყველა სანოტარო წესით დამოწმებულ და შემოწმებულ დოკუმენტზე უნდა აღინიშნოს: 1) სანოტარო კონტორის სახელწოდება, იმ ადგილის აღნიშვნით, სადაც იგი იმყოფება (ქალაქი, სოფელი, მაზრა და სხვა); 2) სანოტარო მოქმედების შესრულების წელიწადი, თვე და რიცხვი, ხოლო, უკეთუ საჭირო იქნება,—საათიც; 3) ნომერი რეესტრის მიხედვით; 4) ყველა გადახდევინებული გამოსაღები; 5) ნოტარიუსის ხელმონაწერი; 6) სანოტარო კონტორის ბეჭედი.

26. უკეთუ სანოტარო კონტორიდან გაცემული დოკუმენტი, რამდენიმე ნახევარფურცლისაგან შესდგება, ეს დოკუმენტი დანომრილ, ზონარგაყრილ და შემოწმებულ უნდა იქნეს ნოტარიუსის მიერ ნახევარ-ნახევარ ფურცლობით და დაესვას მას სანოტარო კონტორის ლუქის ბეჭედი.

27. სანოტარო წესით დასამოწმებელი ყველა გარიგება და სანოტარო კონტორის მიერ შესამოწმებელი სხვა დოკუმენტი გარკვევით და მკაფიოდ უნდა იყოს დაწერილი: რიცხვი, ნომერი, ვადა, რაც კი დასამოწმებელ აქტის შინაარს შეეხება, ერთხელ მაინც უნდა აღინიშნოს სიტყვებით. ამოფხეკა არ შეიძლება. ხარვეზს ხაზი უნდა გადაესვას; ყოველგვარი შესწორება და მინაწერი უნდა აღინიშნოს გარიგების მონაწილე პირთა ხელმონაწერის წინ და გამეორებულ იქნეს დამოწმების წარწერაში. ეს შესწორება და მინაწერი ისე უნდა იყოს შეტანილი, რომ შეიძლებოდეს პირვანდელ სახით წაკითხვა ყველა იმისა, რაც შეცდომით იყო დაწერილი, ხოლო შემდეგ შესწორებული და წაშლილი. უკეთუ შესწორება და მინაწერი თვით დამოწმების წარწერაშია გაკეთებული, ეს გარემოება ცალკე აღინიშნება და მას ხელს მოაწერს ნოტარიუსი.

28. დასამოწმებელ აქტში უნდა დაწვრილებით აღინიშნოს მონაწილე პირთა სახელი, მამის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი. იურიდიული პირის სახელწოდება ერთხელ მაინც უნდა იყოს სრულად, შეუმოკლებლივ მოხსენებული.

29. გარიგების ან დოკუმენტის მონაწილე პირის ვინაობა, უკეთუ მას ნოტარიუსი იცნობს, დადასტურდება ისეთი წერილობითი დოკუმენტით, რომელსაც ნოტარიუსი საამისოდ საკმარისად სცნობს, ხოლო უკეთუ ვინაობის დამამტკიცებელი წერილობითი საბუთი არ იქნება—ორი მოქალაქის მიერ, რომელთაც პირადათ იცნობს თვით ნოტარიუსი, ან და რომელნიც თავის ვინაობის დასადასტურებლად წარადგენენ სათანადო დოკუმენტებს. გარიგების მონაწილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირთა უფლებაუნარიანობა და ქმედობაუნარიანობა შემოწმებულ უნდა იქნეს უფლებაჩამორთმეულ და ქმედობის უნარშეზღუდულ პირთა გამოქვეყნებული სიის მიხედვით.

**შენიშვნა.** დროებით, აღნიშნული სიების გამოცემამდე, უფლებაუნარიანობის და ქმედუნარიანობის შემოწმება მოხდება მხარეთა მიერ წარდგენილი სათანადო დოკუმენტების მიხედვით ან ნოტარიუსისათვის ხელმისაწდომ სხვა რამ საშუალებით.

30. შესამოწმებელ გარიგებას ხელი ნოტარიუსის თანადასწრებით უნდა მოეწეროს ან და ხელის მომწერმა ხელმონაწერი ნოტარიუსის წინაშე თავისად უნდა აღიაროს.

31. უკეთუ სანოტარო მოქმედების მონაწილე პირს, წერა-კითხვის უცოდინარობისა, ავადმყოფობისა ან სხვა მიზეზის გამო, არ შეუძლიან გარიგებას თვითონ მოაწეროს ხელი, მან თავის მაგიერ გარიგებაზე ხელის მოწერა ნოტარიუსის თანადასწრებით სხვა პირს უნდა მიანდოს. ნოტარიუსმა უნდა შეამოწმოს, რომ სანოტარო მოქმედებაში მონაწილე პირს ამა და ამ მიზეზით არ შეეძლო თვითონ მოეწერა ხელი და რომ ამ პირმა მისი, ნოტარიუსის, თანადასწრებით თავის მაგიერ ხელის მოწერა ამა და ამ პირს მიანდო. ამ უკანასკნელის ხელმონაწერსა და ვინაობას შეამოწმებს აგრეთვე ნოტარიუსი.

32. ყრუისა, მუნჯის ან ყრუ-მუნჯის სახელით და მის სახელზე დადებული გარიგების სანოტარო წესით დამოწმებისა ან სხვა სანოტარო მოქმედების შესრულების დროს, დოკუმენტი, უკეთუ ყრუმ, მუნჯმა ან ყრუ-მუნჯმა წერა-კითხვა იცის, წარედგინება მას წასაკითხავად და საკუთარის ხელით წარწერის გასაკეთებლად იმის შესახებ, რომ აქტი მას წაკითხული აქვს და იგი თანახმაა მისი შინაარსისა, ხოლო, უკეთუ ყრუმ ან მუნჯმა, მაგრამ არა ყრუ-მუნჯმა (სამოქ. სამ. კოდ. მე-8 მუხ.), წერა-კითხვა არ იცის, მოწვეულ უნდა იქნეს ორი პირი; ერთი ყრუ ან მუნჯის არჩევით, ისეთი, რომელმაც მასთან ლაპარაკი იცის, მეორე—ისეთი, რომელსაც ესმის მათი ლაპარაკი და რომელიც აქტზე საკუთარი ხელმოწერით დაადასტურებს, რომ გარიგების შინაარსი შეესაბამება ყრუს ან მუნჯის ნებისყოფას.

33. უკეთუ გარიგების მონაწილე უსინათლოა, აქტი შედგენილ იქნება უსინათლოს მიერ არჩეული მოწმის თანადასწრებით; ხსენებული მოწმე ნოტარიუსის თანადასწრებით წაუკითხავს აქტს უსინათლოს და მისი თხოვნით ხელს მოაწერს აქტსა, ხოლო ნოტარიუსი დაადასტურებს ამ გარემოებას.

34. უკეთუ გარიგების მონაწილე ან დოკუმენტის გამცემმა პირმა არ იცის ენა, რომელზედაც დაწერილია აქტი ან დოკუმენტი, და იგი ლაპარაკობს ისეთ ენაზე, რომელიც იცის ნოტარიუსმა, უკანასკნელი გადაუთარგმნის მას გარიგებას ან დოკუმენტს და ამ გარემოებას აღნიშნავს დამოწმების წარწერაში. ხოლო, უკეთუ ნოტარიუსმა არ იცის ენა, რომელზედაც ლაპარაკობს გარიგების მონაწილე ან დოკუმენტის გამცემი, გარიგებას ან დოკუმენტს გადათარგმნის აღნიშნული ენის მცოდნე მოწვეული პირი. ეს გარემოება აღინიშნება დამოწმების წარწერაში.

დოკუმენტს ხელი მოეწერება 30 და 31 მუხლების წესით.

საქართველოს სახელმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი V. გარიგების სანოტარო წესით დამოწმება.

35. სანოტარო კონტორა მოვალეა, უკეთუ მხარენი მოისურვებენ, დაამოწმოს სანოტარო წესით ისეთი გარიგებაც, რომლისათვისაც სანოტარო წესით დამოწმება კანონით სავალდებულო არ არის.

36. სანოტარო წესით გარიგების დამოწმების დროს ნოტარიუსმა უნდა გამოარკვიოს; შეესაბამება თუ არა გარიგება და გარიგებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი კანონს, უწერიათ თუ არა გარიგების მონაწილე პირთ გარიგებაზე ხელი და ნამდვილად მათია თუ არ ეს ხელმონაწერი; უნდა გამოარკვიოს აგრეთვე აღნიშნულ პირთა უფლებაუნარიანობა და ქმედობაუნარიანობა და გადახდილია თუ არა დოკუმენტზე დაწესებული გამოსაღები.

37. ფიზიკური პირის ვინაობას, უფლებაუნარიანობასა და ქმედობაუნარიანობას ნოტარიუსი გამოარკვევს 29 მუხლის წესისამებრ.

უკეთუ გარიგების მონაწილე იურიდიული პირია, ნოტარიუსი წარდგენილ დოკუმენტებით გამოარკვევს ამ პირის უფლებაუნარიანობას სამოქ. სამ. კოდ. 14 მუხლის შესაფერისად, აქვს თუ არა მას უფლება შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, და უფლებამოსილია თუ არა ნამდვილად მისი წარმომადგენელი.

38. უკეთუ სანოტარო წესით დასამოწმებელი აქტი, კანონით გატარებულ არ უნდა იქნეს სანოტარო არქივის რეგისტრაციაში, მხარენი სანოტარო კონტორაში წარადგენენ, იმის მიხედვით, თუ რა სახისაა გარიგება, ამ აქტის ორზე ან სამზე არა ნაკლებ ეგზემპლიარის, სრულიად თანაბარი ტექსტით. ყველა წარდგენილ ეგზემპლიარს მხარენი ხელს მოაწერენ 30 და 31 მუხლის წესისამებრ და თვითეული ეგზემპლიარის სანოტარო წესით დამოწმების შემდეგ ერთი (ძირითადი) დაერთვის ქაღალდების საერთო საქმეს, რაც ამგვარი სანოტარო აქტებისათვის არის შედგენილი, ხოლო დანარჩენი ეგზემპლიარები, რამდენიც კი საჭირო იქნება მხარეთათვის, მიეცემა ამ უკანასკნელთ, კუთვნილებისამებრ, გარიგების თანახმად. ყველა აღნიშნული ეგზემპლიარი ჩაითვლება დედნად.

39. უკეთუ სანოტარო წესით დასამოწმებელი აქტის რეგისტრაცია სანოტარო არქივში, კანონით, სავალდებულოა, მხარენი ამ აქტს სანოტარო კონტორაში წარადგენენ ერთი ეგზემპლიარით მეტს, ვიდრე ეს წინა მუხლშია გათვალისწინებული. ამ ეგზემპლიარების წინა მუხლში აღნიშნულ წესისამებრ დამოწმების შემდეგ, ორ ეგზემპლიარზე არა ნაკლები (გარიგების სახის მიხედვით) სანოტარო კონტორის მიერ წარედგინება სათანადო სანოტარო არქივს რეგისტრაციისათვის, ხოლო ერთი ცალი დაერთვის საქმეს, რაც შედგენილ უნდა იქნეს ყოველი ასეთი (რეგისტრაციასაქმნელი) გარიგებისათვის. სანოტარო არქივი, მიიღებს რა რეგისტრაციისათვის სანოტარო წესით დამოწმებული აქტის ეგზემპლიარებს, გაატარებს მას რეგისტრაციაში და ერთ (ძირითად) ეგზემპლიარს ჩააკერებს სანოტარო წესით დამოწმებული აქტების ცალკე კრებულში, რომელიც წლის ბოლოს დაიკაზმება. დანარჩენ ეგზემპლიარებს კი მისცემს მხარეთ გარიგების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენიშვნა 1.** საღერბო გამოსაღების ნიშნები დაეკვრის აქტის ძირითად ეგზემპლიარს, ხოლო დანარჩენ ეგზემპლიარებზე აღინიშნება, რომ საღერბო გამოსაღები ამდენი და ამდენი გადახდილია.

**შენიშვნა 2.** უკეთუ მხარეს, მისივე თხოვნით, ეძლევა იმაზე მეტი ეგზემპლიარი, რაც საჭიროა გარიგების შინაარსის მიხედვით, ამ ზედმეტი ეგზემპლიარისა, აგრეთვე დუბლიკატისთვის უნდა გადახდილ იქნეს იგივე სასყიდელი, რაც ასლისათვის.

40. უკეთუ მხარისათვის მიცემული სანოტარო წესით დამოწმებული აქტის ეგზემპლიარი დაიკარგა ან მოისპო, მისი დუბლიკატი გაიცემა შემდეგი წესით:

ა) ორმხრივი გარიგების აქტის დუბლიკატი მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით;

ბ) ცალმხრივი გარიგების აქტის დუბლიკატი კი—დაინტერესებული პირის მოთხოვნით.

დუბლიკატის გაცემა აღინიშნება ძირითად დოკუმენტზე და თვით დუბლიკატზედაც წარწერით, რომ დუბლიკატი გაცემულია დაკარგული ეგზემპლიარის ნაცვლად და მას აქვს დედნის ძალა.

დუბლიკატს გასცემს ის სანოტარო ორგანო, სადაც დოკუმენტის ძირითადი ეგზემპლიარი ინახება.

41. გარიგების მონაწილე პირსა და დაწესებულებას შეუძლიან უკეთუ იგი მოისურვებს, მიიღოს მის მიერ წარდგენილი აქტისა და დოკუმენტის ასლი და რეესტრის ამონაწერი. გარეშე პირსა და დაწესებულებას ასეთი ასლი და ამონაწერი მიეცემა მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით. მუშათა და გლეხთა ინსპექციის და სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებს უფლება აქვთ უშუალოდ მოითხოვონ და მიიღონ აღნიშნული ამონაწერი და ასლი.

42. წარდგენილი დოკუმენტის დედანი დარჩება სანოტარო კონტორის საქმეებში, უკეთუ დამოწმებულ გარიგებასთან დაკავშირებით მას იურიდიული ძალა დაეკარგა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დოკუმენტის დედანი სათანადო წარწერით აქტის ქმნის შესახებ დაებრუნება მის წარმდგენს.

43. სანოტარო კონტორის სამქმეებში დარჩება ყველა ისეთი დოკუმენტის ასლი ან ამონაწერი, რომლითაც დადასტურებულია მონაწილე პირთა უფლებაუნარიანობა და უფლებამოსილობა, გარდა მათი ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტისა. იურიდიული პირის წესდებას ან დებულებას, უკეთუ იგი გამოქვეყნებულია ოფიციალურ გამოცემაში, კონტორა არ დაიტოვებს, ხოლო რეესტრში (მე-8 მუხ.) აღნიშნავს ამ გამოცემის წელიწადსა და ნომერს. ყველა დანარჩენი დოკუმენტი, საქმეებში ასლის დაუტოვებლად, დაებრუნება იმ პირს, ვინც იგი წარადგინა.

44. შენობისა და აღნაგობის უფლების გასხვისებისა და დაგირავების გარიგების სანოტარო წესით დამოწმების დროს სანოტარო კონტორამ უნდა გამოარკვიოს, რომ იგი სწორედ იმ პირს ეკუთვნის, რომელიც ასხვისებს ან აგირავებს, და შეკრული ან ყადაღადადებული ხომ არ არის გასასხვისებელი ან დასაგირავებელი შენობა თუ აღნაგობის უფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენობის ან აღნაგობის უფლების დაგირავების აქტის სანოტარო წესით დამოწმების დროს სანოტარო კონტორა შეჰკრავს დასაგირავებელ ქონებას.

45. სანოტარო წესით შემოწმებული რწმუნებულება შეიძლება გადაიცეს ტელეგრაფით და ჩაბარდეს განმცხადებლის მიერ ნაჩვენები მისამართით. ამ წესის განსანვითარებლად საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატი გამოსცემს განსაკუთრებულ წესებს სსრკ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან შეთანხმებით.

## თავი VI. აღსრულების წარწერა.

46. გადამხდევინებლის განცხადებით სანოტარო კონტორა გაუკეთებს აღსრულების წარწერას:

1. ფულის გადასახდევინებლად: ა) პროტესტმქნილ თამასუქს; ბ) საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსში გათვალისწინებული წესით დადებულ შეთანხმებას შვილებისა და მეუღლისათვის მისაცემ სარჩოს რაოდენობის შესახებ; გ) სამუშაო ხელფასის ანგარიშგასწორების წიგნაკს; დ) დაწესებულების უშუალო ექსპლოატაციაში ქონებული ან საბინაო კოოპერატიული ამხანაგობისათვის იჯარით გადაცემული ნაციონალიზაციაქმნილი თუ მუნიციპალიზაციამქნილი სახლის სამოურაოს ანგარიშს საბინაო ქირისას, რაც ვადაგადაცილებული იქნება: მშრომელის მიერ ორთვეზე მეტს ხანს, ხოლო არაშრომითი შემოსავლით მცხოვრები პირის მიერ—7 დღეზე მეტ ხანს,—უკეთუ ამასთანავე სასამართლოში აღძრული არ არის დავა ბინის ქირის რაოდენობის თაობაზე; ე) წყლისა, კანალიზაციისა და ელექტრონის ენერგიის ვადაგადაცილებული სასყიდლის ანგარიშს; ვ) სახელმწიფო დაზღვევის ორგანოს დოკუმენტს სავალდებულო არასაგადანაკვეთო დაზღვევისათვის სადაზღვევო პრემიის გადახდევინების შესახებ; ზ) პროფესიონალური კავშირის ურთიერთი დამხმარე სალაროს წევრის მიერ ამ სალაროსათვის მიცემულ ვალდებულებას; თ) დამთავრებულ დისპაშას, რომელიც არ იქნა განსაჩივრებული იმ ვადაზე, რაც გათვალისწინებულია „დისპაშერებისა, დისპაშის შედგენის წესისა და საზღვაო პროტესტის შესახებ“ სსრკ სახალხო კომისარიატ საბჭოს მიერ 1926 წ. ივლისის 27 თარიღით გამოცემული (კან. კრ. 1926 წ. 57 №-რის 416 მუხ.; 1927 წ. მე-19 №-ის 215 მუხ.) დადგენილების მე-13 მუხლში; ი) დოკუმენტს, რომლითაც დადასტურდება საკრედიტო დაწესებულების საკრედიტო ოპერაციით ფულის გადახდის ვადის გადაცილება; კ) წამლობისათვის გადასახდელი ფულის ანგარიშს იმ სამკურნალოისა, რომელიც ინახება აღმასრულებელი კომიტეტის ან ქალაქის საბჭოს ხარჯით; ლ) სახლის წყლის საკონტროლო კომისიის ოქმს წყლის სასყიდლის რაოდენობის შესახებ; მ) დოკუმენტს, რომლითაც დადასტურდება მოვალისა და მისი თავდების მიერ ისეთი სესხის ვადის გადაცილება, რაც მიღებულია საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობისაგან, რა სახისაც უნდა იყოს ამხანაგობა, იმ პირობით-კი, რომ სათანადო საკრედიტო კოოპერატივის გამგეობამ, სავალო დოკუმენტის დედნისა და ამ გამგეობის მიერ შემოწმებული ასლის გარდა, წარადგინოს აგრეთვე ასლი თავისი დადგენილებისა, რომლის თანახმადაც პრეტენზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადახდევინებისათვის მიქცეულ უნდა იქნეს აღსრულების წარწერის წესით; თანაც აღინიშნება იმ თანხის რაოდენობა რაც მოვალესა და თავდებს უნდა გადახდეს; ნ) დოკუმენტს, რომლითაც დადასტურდება სარეწაო კოოპერატიული ამხანაგობის წევრის მიერ მისთვის ნისიად მიცემულ რეწვის იარაღისა და, აგრეთვე, წარმოებისათვის გადაცემული მასალის სასყიდლის გადახდის ვადის გადაცილება, იმ პირობით-კი, რომ სათანადო სარეწაო კოოპერატივის გამგეობამ წარადგინოს: 1) ხელშეკრულების დედანი ან დავალიანების დამადასტურებელი სხვა სათანადო დოკუმენტი, გამგეობის მიერ შემოწმებული ასლით, 2) მოვალის პირადი ანგარიშის ამონაწერი და 3) ასლი გამგეობის დადგენილებისა, რომლის თანახმადაც პრეტენზია გადახდევინებისათვის მიქცეულ უნდა იქნეს აღსრულების წარწერის წესით; თანაც აღინიშნება იმ თანხის რაოდენობა, რაც მოვალეს უნდა გადახდეს; ო) დოკუმენტს, რომლითაც დადასტურდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობის მიერ, ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით, გაყიდული თესლეულობისა, საქონლისა, სასოფლო-სამეურნეო იარაღისა, მანქანისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის სასყიდლის გადახდის ვადის გადაცილება, იმ პირობით კი, რომ სათანადო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის გამგეობამ წარადგინოს: 1) ხელშეკრულების დედანი ან დავალიანების დამადასტურებელი სხვა სათანადო დოკუმენტი, გამგეობის მიერ შემოწმებული ასლით, 2) მოვალის პირადი ანგარიშის ამონაწერი და 3) ასლი გამგეობის დადგენილებისა, რომლის თანახმადაც პრეტენზია გადახდევინებისათვის მიქცეულ უნდა იქნეს აღსრულების წარწერის წესით; თანაც აღინიშნება გადასახდევინებელი თანხის რაოდენობა; პ) დოკუმენტს, რომლითაც დადასტურდება ფულის გადახდის ვადის გადაცილება იმ საქონლისათვის, რაც ინდივიდუალურ სასაქონლო კრედიტით მიიღო მოვალემ სახელმწიფო საწარმოსაგან, სამომხმარებლო საზოგადოების ან ასეთ საზოგადოებათა კავშირისაგან, იმ პირობით-კი, რომ სათანადო სამომხმარებლო საზოგადოების ან სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის გამგეობამ წარადგინოს: 1) ხელშეკრულების დედანი ან დავალიანების დამადასტურებელი სხვა სათანადო დოკუმენტი, გამგეობის მიერ შემოწმებული ასლით, 2) მოვალის პირადი ანგარიშის ამონაწერი და 3) ასლი გამგეობის დადგენილებისა, რომლის თანახმადაც პრეტენზია გადახდევინებისათვის მიქცეულ უნდა იქნეს აღსრულების წარწერის წესით; თანაც აღინიშნება გადასახდევინებელი თანხის რაოდენობა.

2. სანატორო წესით დამოწმებული გარიგების დოკუმენტს ფულის გადასახდევინებლად ან ქონების დასაბრუნებლად თუ გადასაცემად.

47. აღსრულების წარწერის გაკეთების შესახებ შეტანილ განცხადებასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნეს იმ დოკუმენტების დედანი, რაზედაც დამყარებულია მოთხოვნა, განმცხადებლის ხელმონაწერით შემოწმებული ასლითურთ.

**შენიშვნა.** უკეთუ განმცხადებელი მოითხოვს აღსრულების წარწერის გაკეთებას იმის შესახებ, რომ 46 მუხ. პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის წესით მოვალეს გადახდეს ვადაგადაცილებული საბინაო ქირა, მან საამისო განცხადებასთან ერთად, გაუნაღდებელი ანგარიშის გარდა, უნდა წარა-

მუნ. ეროვნული ბიბლიოთეკა

დგინოს ასლი მდგმურისათვის მიცემული წერილობითი გაფრთხილებისა დაწესებულ ვადაზე ბინის ქირის გადახდის შესახებ, მდგმურის ხელწერილით, რომ მას მიღებული აქვს აღნიშნული გაფრთხილება, ან მილიციის წარწერით, რომ მდგმურმა უარი განაცხადა აღნიშნულ ხელწერილის მიცემაზე.

48. აღსრულების წარწერა არ გაკეთდება იმ შემთხვევაში: 1) უკეთუ მოთხოვნა მიქცეულია სახელმწიფო დაწესებულებასა, სახელმწიფო საწარმოსა ან პროფესიონალურ ორგანიზაციაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოთხოვნა ემყარება პროტესტქმნილ თამასუქს ან საკრედიტო დაწესებულების დოკუმენტს, რაც ადასტურებს საბანკო ოპერაციით ფულის გადახდის გადაცილებას, ან და ანგარიშის გასწორების წიგნაკს; 2) უკეთუ იმ დღიდან, რაც მოთხოვნის ვადა დადგა, ექვს თვეზე მეტი ხანი გაივლის; 3) უკეთუ გადახდევინების უფლების დასადასტურებლად საჭიროა დამატებითი დამამტკიცებელი საბუთების წარდგენა; 4) უკეთუ მოვალის პასუხისმგებლობა ნათლად არა სჩანს თვით წარდგენილი დოკუმენტების ტექსტიდან; 5) უკეთუ იმ ვალდებულების შესრულება, რასაც მოთხოვნა ემყარება, თვით დოკუმენტით დამოკიდებულია ისეთ პირობაზე, რომლის დადგომაც დატკიცებულ უნდა იქნეს.

49. აღსრულების წარწერაში უნდა აღინიშნოს: ა) სანოტარო კონტორის სახელწოდება, წელიწადი, თვე, რიცხვი და ნომერი რეესტრის მიხედვით; ბ) გადამხდევინებლისა და მოვალის საცხოვრებელი ადგილი; გ) დოკუმენტის სწორი სახელწოდება და ნიშნები (მისი ქმნის დრო და ადგილი, სანოტარო კონტორის სახელწოდება, რიცხვი და ნომერი რეესტრის მიხედვით); დ) ის ვადა, რომლისათვისაც უნდა მოხდეს ვადიანი გადასახადის გადახდევინება (ნაწილობრივი გადახდევინების დროს განსაზღვრულ ვადებისათვის); ე) გადასახდევინებელი თანხები ან იმ საგნების სწორი სახელწოდება, რაც მოთხოვნილ უნდა იქნეს; ვ) პროცენტები, თუ იგი ერგება გადამხდევინებელს; ზ) ნოტარიუსის ხელმონაწერი და სანოტარო კონტორის ბეჭედი.

50. აღსრულების წარწერა გაუკეთდება თვით დოკუმენტს; ხოლო, უკეთუ საამისოდ საკმარისი ადგილი არ არის, წარწერა გაკეთდება მიკერებულ და მიბეჭდილ ცალკე ფურცელზე, ისე კი, რომ აღსრულების წარწერა იწყებოდეს თვით დოკუმენტზე. დოკუმენტის დედანი აღსრულების წარწერით, რეესტრში შეიტანოს შემდეგ, მიეცემა გადამხდევინებელს, ხოლო დოკუმენტისა და წარწერის ასლი დაიტოვება სანოტარო კონტორის საქმეებში.

51. აღსრულების წარწერის გაკეთება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სამ. სამ. საპრ. კოდ. გათვალისწინებულ წესით (XXVII თავი) და სასამართლო ასეთ საჩივარს განიხილავს დამამტკიცებელი საბუთების შემოწმებით და მხარეთა დაბარებით. აღსრულების წარწერის განსაჩივრებისათვის დაწესებული (ორი კვირის) ვადა გამოიანგარიშება მოვალისათვის იმ დღიდან, როდესაც მან მიიღო უწყება აღსრულების შესახებ, გადამხდევინებელისათვის-კი — იმ დღიდან, რაც მან მიიღო დოკუმენტი აღსრულების წარწერის ან უარი აღსრულების წარწერის გაკეთებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი VII. თამასუქის პროტესტი.

52. თამასუქის პროტესტი სწარმოებს სათამასუქო დებულების თანახმად. ნოტარიუსისა, მისი მოადგილისა, სახალხო მოსამართლის ან მისი მდივნის სამსახურში არ ყოფნის დროს პროტესტს მოახდენს სანოტარო კონტორის ერთ-ერთი მოსამსახურე, სასამართლო აღმასრულებელი ან სახალხო გამომძიებელი.

53. თამასუქით ვალდებულ პირს მოთხოვნას გადახდის შესახებ სანოტარო კონტორა წარუდგენს წერილობით. ეს მოთხოვნა გაიგზავნება ფოსტით ან ტელეგრაფით, ან და სანოტარო კონტორის თანამშრომლის მეშვეობით თამასუქის გამცემის იმ მისამართის თანახმად, რაც ნაჩვენები იქნება.

54. თამასუქის პროტესტის მოსახდენად თვით თამასუქს, თამასუქის პატრონის მოთხოვნით, გაუკეთდება წარწერა იმის შესახებ, რომ ფული გადახდილი არ არის, ან შეპირებული თამასუქი არ არის მიღებული. თამასუქის პროტესტი აღინიშნება რეესტრში.

55. სანოტარო კონტორა ვალდებულია მიიღოს საპროტესტოდ წარდგენილი თამასუქის გასანაღდებლად შესული თანხები თამასუქის პატრონისათვის გადასაცემად.

## თავი VIII. ვარრანტების პროტესტი.

56. საქონლის საწყობის მიერ შესანახად საქონლის მიღებაზე გაცემული გირავნობის მოწმობის (ვარრანტის) პროტესტისათვის შეფარდებულ უნდა იქნეს წესები თამასუქის პროტესტის შესახებ (მუხ. 52 55).

## თავი IX. საზღვაო პროტესტი.

57. სანოტარო კონტორა მიიღებს ნავჭურჭლის კაპიტანის განცხადებას იმის შესახებ, რომ მოხდა საერთო ან კერძო ავარია ან რომ შესაძლებელია მოხდეს კერძო ავარია, ან და რომ მოხდა ნავჭურჭლების შეჯახება; ეს განცხადება წარედგინება კონტორას სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „დისპაშერებისა, დისპაშისა და საზღვაო პროტესტის შედგენის წესის შესახებ“ 1926 წ. ივლისის 27-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად (კან. კრებ. 1926 წ. 57 №-ის 416 მუხ.; 1927 წ. მე-19 №-ის 215 მუხ.).

58. კაპიტანის განცხადებისა და სანავჭურჭლო ჟურნალის (სსრკ სახ. კომ. საბჭოს 1926 წ. ივლისის 27-ის დადგენილების მე-15 მუხ.) ცნობების თანახმად, აგრეთვე თვით კაპიტანისა და, შეძლებისდაგვარად, საკომანდო შედგენილობიდან არა ნაკლებ ორი პირისა და სანავჭურჭლო გუნდიდან არა ნაკლებ ორი პირის დაკითხვით, სანოტარო კონტორა შეადგენს საზღვაო პროტესტის აქტს.

59. საზღვაო პროტესტის აქტი აღინიშნება რეესტრში და დაიტოვება სანოტარო კონტორის საქმეებში, ხოლო აქტის ასლი მიეცემა განმცხადებელს ან საამისოდ რწმუნებულ პირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

60. ნავჭურჭლის კაპიტანის განცხადებას ავარიის ან ნავჭურჭელთა შეჯახების შესახებ სანოტარო კონტორა დაუყონებლივ აცნობებს ნავთსადგურის სამმართველოს და ადგილობრივ სასაქონლო ბირჟას, უკეთუ ასეთი მოიპოვება.

**თავი X. დოკუმენტის ასლისა და დავთრებისა და დოკუმენტების ამონაწერის სისწორის შემოწმება.**

61. სანოტარო კონტორა იღებს როგორც მთავრობის დაწესებულებისა, ისე საზოგადო და კერძო ორგანიზაციისა და პირის მიერ გაცემულ დოკუმენტს მისი ასლის სისწორის შესამოწმებლად, უკეთუ ეს დოკუმენტი არ ეწინააღმდეგება კანონს და უკეთუ მას შეიძლება ჰქონდეს იურიდიული მნიშვნელობა.

62. წარდგენილი დედნის ასლის სისწორის შემოწმების დროს ასლი შედარებულ უნდა იქნეს დედანთან და წარწერაში აღინიშნოს, ხომ არ იყო დედანში შესწორება, ამოფხეკა, წაშლილი სიტყვა ან სხვა რაიმე თავისებურება, უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, გადახდილია თუ არა დედნისათვის საღერბო გამოსაღები და რამდენი. ასლის სისწორის შემოწმება აღინიშნება თვით დოკუმენტზე.

63. ამავე წესით მოხდება დავთრისა და დოკუმენტის ამონაწერის სისწორის შემოწმება.

**თავი XI. ხელმონაწერის სინამდვილის შემოწმება.**

64. ხელმონაწერის სინამდვილის შესამოწმებლად მიიღება ისეთი დოკუმენტი, რომელსაც არა აქვს გარიგების ხასიათი. გარიგებაზე შეიძლება მხოლოდ ისეთი პირის მაგიერ ხელმონაწერის შემოწმება, რომელსაც არ შეეძლო თვითონ მოეწერა ხელი წერა-კითხვის უცოდინარობისა, ფიზიკური ნაკლის ან ავადმყოფობის გამო (სამ. სამ. კოდ. 28. მუხ.). ყველა დანარჩენ შემთხვევაში მონაწილე პირთა ხელმონაწერის შემოწმება გარიგებაზე თვით გარიგების დაუმოწმებლად არ შეიძლება.

**თავი XII. დოკუმენტის წარდგენის დროის შემოწმება.**

65. დოკუმენტის წარდგენის დროის შემოწმება მოხდება თვით დოკუმენტზე, მისი წარმდგენი პირის აღნიშვნით. ამასთანავე დამოწმებულ უნდა იქნეს დოკუმენტის წარმდგენის ვინაობა და აღინიშნოს შემოწმების თარიღი.

**თავი XIII. ამა თუ იმ პირის განსაზღრულ ადგილას ყოფნის დამოწმება.**

66. ამა თუ იმ პირის განსაზღრულ ადგილას ყოფნას დაამოწმებს ნოტარიუსი; დამოწმების შესახებ შედგენილ იქნება აქტი, სადაც აღინიშნება, რა საშუალებით იქნა ამ პირის ვინაობა დამოწმებული. ამ აქტში განმცხადებელის მოთხოვნით აღინიშნება დამოწმების საათი და წამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი XIV. ამა თუ იმ პირის და დაწესებულების განცხადების გადაცემა სხვა პირისა და დაწესებულებისათვის.

67. მოქალაქეთ, ხოლო ქონებრივი გარიგების გამო დაწესებულებებსაც, უფლება ეძლევათ თავიანთი განცხადება გადასცენ ერთმანეთს სანოტარო კონტორის მეშვეობით. სანოტარო კონტორა გადასცემს განცხადებას მასში აღნიშნულ პირთ და დაწესებულებათ კონტორის თანამშრომელთა მეშვეობით.

68. სანოტარო კონტორაში განცხადება შეიძლება გაიგზავნოს აგრეთვე ფოსტით, ხოლო ასეთ შემთხვევაში განმცხადებელის ხელმონაწერის სინამდვილე შემოწმებულ უნდა იქნეს სათანადო წესით.

69. სონოტარო კონტორა ჩააბარებს განცხადებას სამ. სამ. საპრ. კოდ. 70-72 და 74 მუხ. წესისამებრ.

70. უკეთუ ის პირი, რომელსაც განცხადება უნდა ჩაბარდეს, სხვა ქალაქში ან სხვა დასახლებულ ადგილას იმყოფება, სანატორო კონტორა გადაგზავნის განცხადებას ამ პირისათვის ჩასაბარებლად ფოსტით დაზღვეულ წერილად უკან დასაბრუნებელი ბარათით.

71. განცხადების გადაცემის დასადასტურებლად სანოტარო კონტორა, ამა თუ იმ მხარის მოთხოვნით, გასცემს ან გადაგზავნის მოწმობას, სადაც აღინიშნება ორთავე მხარის სახელწოდება, განცხადების მიღების დრო, უარი განცხადების მიღებაზე, უკეთუ იგი ითქვა, და, განმცხადებლის მოთხოვნით, აგრეთვე განცხადებაზე გაცემული პასუხიც.

## თავი XV. არამუნიციპალიზაციაქმნილი შენობისა და აღნაგობის უფლების შეკვრის რეგისტრაცია, ამ შეკვრის შეცვლა და მოხსნა.

72. შენობის ან აღნაგობის უფლების შეკვრის შესახებ შეტანილ განცხადებაში უნდა აღინიშნოს: ა) მოვალის გვარი, სახელი და მამის სახელი, ბ) შესაკვრელი ქონება, სად მდებარეობს იგი, მაზრა, ქალაქი, ქუჩა, სახლის ან მფლობელობის ნომერი; გ) შეკვრის საფუძველი (სასამართლოს დადგენილება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ; გადახდევინება უდაო წესით და სხვ.), დ) გადასახდევინებელი თანხა ან ვალი (სიტყვებით და ციფრით).

73. სანოტარო კონტორა (14 მუხ.) ატარებს რიგ-რიგობით რეგისტრაციაში ყველა შეკვრას და შეადგენს მფლობელთა გვარების ალფაბეტს. შეკვრის მოხსნა ცალკე გატარებულ იქნება რეგისტრაციაში.

74. შეკვრა შეიცვლება ან მოიხსნება შემკვრელი თანამდებობის პირის ან დაწესებულების შეტყობინებით ან და მოგირავნის განცხადებით. კერძო პირის ან კერძო ორგანიზაციის წარმომადგენლის ხელმონაწერი აღნიშნულ განცხადებაზე შემოწმებულ უნდა იქნეს დადგენილი წესით. განცხადებასთან ერთად მოგირავნემ უნდა წარადგინოს გირავნობის აქტი.

75. შენობისა და აღნაგობის უფლების განსხვისებისა და დაგირავების გარიგებათა სანოტარო წესით დამოწმების დროს, სანოტარო კონტორა შეჰკრეფს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობებს გასასხვისებელი ან დასაგირავებელი ქონების შეკვრის შესახებ. უკეთუ გარიგებას ამოწმებს არა ის სანოტარო კონტორა, სადაც მოიპოვება ცნობები იმ ქონების შეკვრის შესახებ, რაც გარიგების საგანს შეადგენს, წარდგენილ უნდა იქნეს ცნობა სათანადო სანოტარო კონტორისა.

### თავი XVI. გირავნობის მოწმობა.

76. სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოსთან, საკრედიტო დაწესებულებასთან, აგრეთვე შრომის არტელსა და კოოპერატივთან დადებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად სათანადო სანოტარო კონტორა (ამა დებულების 14 მუხ.) გასცემს გირავნობის მოწმობას შენობისა და აღნაგობის უფლების შესახებ.

77. გირავნობის მოწმობის წარდგენა წინა მუხლში აღნიშნულ დაწესებულებებისათვის შეიძლება ექვსი თვის განმავლობაში მისი გაცემის დღიდან. უკეთუ გირავნობის მოწმობა აღნიშნულ ვადაზე არ იქნა გამოყენებული, იგი ჰკარგავს ძალას.

78. გირავნობის მოწმობის გაცემის დროს სანოტარო კანტორამ უნდა გამოარკვიოს, ეკუთვნის თუ არა მთხოვნელს ნამდვილად დასაგირავებელი ქონება და სათანადო სანოტარო დავთრების მიხედვით გამოარკვიოს აგრეთვე—ხომ არ არის ეს ქონება შეკრული ან სხვანაირად შეზღუდული. ამის გარეშე, სანოტარო კონტორა: ა) გამოითხოვს ადგილობრივ კომუნალურ განყოფილებიდან ცნობებს აღნიშნული ქონების შეფასებისა და იმის შესახებ, მუნიციპალიზაცია ან ნაციონალიზაციაქმნილი ხომ არ არის იგი და ხომ არ ირიცხება ამ ქონებაზე ნარჩენი; ბ) გამოითხოვოს იმ რაიონის სახალხო სასამართლოდან, სადაც ქონება არის და სამაზრო სასამართლოდან ცნობებს—ხომ არ არის აღძრული სასამართლო დავა აღნიშნული ქონების შესახებ; გ) შეჰკრეფს ცნობებს კომუნალური განყოფილების მიმართ დავალიანების შესახებ სააღნაგო ხელშეკრულებით (უკეთუ გასაცემია მოწმობა აღნაგობის უფლების შესახებ) და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რამდენად შეუსრულებია მოაღნაგეს თავისი ვალდებულება სააღნაგო ხელშეკრულებით და დ) გამოითხოვს საფინანსო განყოფილებიდან ცნობებს იმ ნარჩენისა და უდავო გადახდევინების შესახებ, რაც ქონებაზე ირიცხება. ყველა ეს ცნობა გირავნობის მოწმობაში აღინიშნება.

**შენიშვნა.** უკეთუ სანოტარო არქივში არ მოიპოვება ცნობები იმის შესახებ, ეკუთვნის თუ არა დამგირავებელს დასაგირავებელი ქონება, ამ უკანასკნელს, იმის დასამტკიცებლად, რომ ქონება ნამდვილად მას ეკუთვნის, შეუძლიან წარადგინოს სათანადო კომუნალური განყოფილების მოწმობა.

79. უკეთუ გირავნობის მოწმობა წარედგინება 77 მუხლში აღნიშნულ ერთ-ერთ დაწესებულებას ან საწარმოს არა იმ დღეს, რა დღესაც იგი გასცა სანოტარო კონტორამ, არამედ მეორე დღეს ან უფრო გვიან, აღნიშნულ დაწესებულებას და საწარმოს შეუძლიან მოსთხოვოს დამგირავებელს, რომ მან წარადგინოს მოწმობის გამცემი სანოტარო კონტორის ცნობა, წარწერილი თვით მოწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობაზე, ან ცალკე მოწმობა იმის შესახებ, რომ მოწმობის გაცემის დღიდან აღნიშნული წარწერის გაკეთებამდე არავითარი ცნობა ქონების ახალი შეკვრის შესახებ არ შესულა.

80. გირავნობის მოწმობის გაცემასთან ერთად, სანოტარო კონტორა შეჰკრავს მოწმობაში აღნიშნულ ქონებას; ეს შეკვრა შეიძლება მოიხსნას: 1) მოწმობის დაბრუნების შემდეგ, უკეთუ იგი არ იქნა გამოყენებული, ან 2) იმის შემდეგ, როდესაც ის დაწესებულება ან საწარმო (მუხლი 77), რომელსაც წარედგიხა ეს მოწმობა ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, დააბრუნებს მას წარწერით, რომ მოწმობა გამოყენებულია, ან 3) ამ დაწესებულება-საწარმოდან შეკვრის მოხსნის შესახებ ცნობის მიღების შემდეგ ან და 4) სასამართლოს დადგენილებით.

81. როდესაც ამა დებულების 82 მუხლში აღნიშნული დაწესებულება, საწარმო ან ორგანიზაცია დადებული ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად მიიღებს გირავნობის მოწმობით შენობას ან აღნაგობის უფლებას, იგი გაუგზავნის სანოტარო კონტორას საამისო ცნობას, სადაც აღნიშნავს უზრუნველყოფილ ხელშეკრულებას, დამგირავებელს, გირაოს თანხას და დაგირავების დროს.

სანოტარო კონტორა ამ ცნობის თანახმად შეჰკრავს ქონებას იმ შეკვრის მოუხსნელად, რაც დაედო ქონებას გირავნობის მოწმობის გაცემის გამო.

82. იმ დაწესებულებას, რომელსაც გირავნობის მოწმობა წარედგინება, შეუძლიან ამ მოწმობის საფუძველზე გასცეს რამდენიმე სესხი ან გაადიდოს გირავნობის მოწმობაში აღნიშნული ქონებით უზრუნელყოფილი თანხა; ყოველი ასეთი შემთხვევა მან უნდა აცნობოს სანოტარო კონტორას შეკვრის სათანადოდ შესაცვლელად.

83. გირავნობის მოწმობა აიღება როგორც იმ დაწესებულების ან საწარმოს აღნიშვნით, რომელსაც უნდა წარედგინოს იგი, ისე უიმისოდაც. პირველ შემთხვევაში ასეთი გირავნობის მოწმობა არ შეიძლება წარედგინოს სხვა დაწესებულებას ან საწარმოს, ხოლო მეორე შემთხვევაში გირავნობის მოწმობა შეიძლება წარედგინოს ყოველ 77 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას, მაგრამ უკეთუ იგი წარედგინა ერთ-ერთ ამათგანს, მეორე დაწესებულებისათვის მისი გამოყენება აღარ შეიძლება.

84. გირავნობის მოწმობის საფუძველზე დაგირავებულ ქონებაზე შეიძლება გაიცეს მეორე გირავნობის მოწმობა. მეორე გირავნობის მოწმობა გაიცემა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც იმ დაწესებულებიდან, რომელმაც მიიღო გირაოდ ქონება პირველი გირავნობის მოწმობით, წარდგენილი იქნება ცნობა ქონებით უზრუნველყოფილი ვალის რაოდენობის შესახებ, იმის დადასტურებით, რომ პირველი გირავნობის მოწმობა არ იქნება გამოყენებული ახალი სესხის ან ვალდებულების უზრუნველსაყოფად. მეორე გირავნობის მოწმობა გაიცემა იმავე წესით, როგორც პირველი. ასევე შეიძლება გაიცეს მესამე, მეოთხე გირავნობის მოწმობა და უფრო მეტიც.

85. უკეთუ მესაკუთრემ დაჰკარგა პირველად ან შემდეგ აღებული გირავნობის მოწმობა, მას დაკარგული მოწმობის დუბლიკატი აღარ მიეცემა. ხოლო სანოტარო განყოფილებას შეუძლიან ქონების მესაკუთრის თხოვნით გაანთავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფლოს შეკვრისაგან დაკარგული მოწმობის გაცემის გამო შეკრული ქონება, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

ა) როდესაც დაკარგულ გირავნობის მოწმობაში აღნიშნულია ის დაწესებულება, სადაც იგი უნდა წარედგინათ, ამ მოწმობის გაცემის გამო შეკრული ქონება განთავისუფლდება შეკვრისაგან, უკეთუ ქონების მესაკუთრე წარადგენს ამ დაწესებულების მოწმობას იმის შესახებ, რომ გირავნობის მოწმობა არ ყოფილა წარდგენილი და ქონება გირაოდ არ ყოფილა მიღებული;

ბ) ხოლო როდესაც დაკარგულ გირავნობის მოწმობაში აღნიშნული არ არის დაწესებულება ან საწარმო, სადაც იგი უნდა წარედგინათ, ქონების მესაკუთრე აღძრავს შუამდგომლობას შეკვრის მოხსნის შესახებ და თანაც გამოაცხადებს ადგილობრივ ოფიციალურ ორგანოში როგორც ამ მოწმობის დაკარგვას, ისე იმასაც, რომ აღძრულია შუამდგომლობა აღნიშნული მოწმობის გაცემის გამო შეკრული ქონების განთავისუფლების შესახებ ამ შეკვრისაგან. ერთი თვის შემდეგ განცხადების დღიდან, ხოლო არა უადრეს 7 თვისა დაკარგული მოწმობის გაცემის დღიდან, სანოტარო კონტორა არქივის წიგნებით გამოარკვევს — თავისუფალია თუ არა ეს ქონება სხვა შეკვრისაგან, ან ხომ არ შეუტანია დაინტერესებულ დაწესებულებას რაიმე საწინააღმდეგო განცხადება და უკეთუ არც ერთი ეს გარემოება არ აღმოჩნდება, გაანთავისუფლებს დაკარგული მოწმობის გაცემის გამო შეკრულ ქონებას ამ შეკვრისაგან.

## თავი XVII. დოკუმენტების შენახვა.

86. სანოტარო კონტორა მიიღებს შესანახად დოკუმენტებს და საქმის ქაღალდებს. დოკუმენტები და ქაღალდები შეიტანება რეესტრში, სადაც აღინიშნება მათი შინაარსი და აგრეთვე ისიც, თუ რა საშუალებით იქნა გამორკვეული ამ დოკუმენტების თუ ქაღალდების წარმდგენის ვინაობა. მიღების დასადასტურებლად ნოტარიუსი დოკუმენტის ან ქაღალდის წარმდგენს მისცემს ქვითარს და საამისო ხელწერილს ჩამოართმევს.

**შენიშვნა.** იმისათვის, რათა უფლება შესანახად წარდგენილ დოკუმენტზე ან საქმის ქაღალდზე მესამე პირს გადაეცეს, სანოტარო კონტორაში შეიტანება განცხადება იმ პირის აღნიშვნით, ვისაც ეს დოკუმენტი ან ქაღალდი დაეთმო. გადაცემა აღინიშნება ქვითარზე წარწერით.

87. შესანახად მიღებული დოკუმენტი და ქაღალდი დაებრუნება მას, ვინც იგი წარადგინა, მის უფლების მონაცვლეს და კანონიერად უფლებამოსილ პირს ქვითარის წარდგენის შემდეგ.

**შენიშვნა.** უკეთუ ქვითარი დაიკარგა, დოკუმენტი დაებრუნება ამა მუხლში აღნიშნულ პირებს ამ უკანკნელთა ვინაობის გამორკვევის შემდეგ და არა უადრეს თოთხმეტი დღისა იმ დღიდან, რაც ადგილობრივ ბეჭდითი ორგანოში დაიბეჭდება პუბლიკაცია ქვითარის დაკარგვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი XVIII. ვალდებულების საგნის (ფულისა და ფასეულობის) მიღება დეპოზიტად კუთვნილებისამებრ გადასაცემად.

88. სამ. სამ. კოდ. 114 მუხ. აღნიშნულ შემთხვევაში მოვალეს შეუძლიან მის მიერ გადასახდელი ფული და ფასიანი ქაღალდები წარადგინოს საფინანსო განყოფილებაში სანოტარო კონტორის დეპოზიტად.

89. ვალდებულების საგნის შეტანის თაობაზე საფინანსო განყოფილების მიერ გაცემული ქვითარის სანატორო კონტორაში წარდგენის დროს მოვალემ უნდა აღნიშნოს: ა) შემტანის სახელწოდება და მისამართი, ბ) იმ პირის სახელწოდება, ვისთვისაც შეტანილია ვალდებულის საგანი და მისი უკანასკნელი მისამართი; გ) შესატანის გამოანგარიშება და შეტანის საფუძველი; დ) მიზეზი, რის გამოც შეუძლებელია ვალდებულების უშუალოდ შესრულება.

90. სანოტარო კონტორა შეტანის საფუძვლის შეუმოწმებლად, აღნიშნავს წარდგენილ წერილობით ვალდებულებაზე, უკეთუ იგი არსებობს, შეტანის ფაქტს ხოლო უკეთუ წერილობითი ვალდებულებულება არ არსებობს, გასცემს მოწმობას შეტანის თარიღის აღნიშვნით.

91. ამასთან ერთად სანატორო კონტორა აცნობებს შეტანას იმ პირს, რომლის სასარგებლოდაც ვალდებულების საგანია შეტანილი. ამ უკანასკნელის გამოცხადებისთანავე სანოტარო კონტორა შეამოწმებს მის ვინაობას და უფლებას დეპოზიტად შეტანილი საგნის მიღებაზე, რის შემდეგ გასცემს განკარგულებას, რათა მას საფინანსო განყოფილებიდან მიეცეს დეპოზიტად შეტანილი ფული ან ფასიანი ქაღალდი.

უკეთუ კრედიტორის საცხოვრებელი ადგილის გამორკვევა შეუძლებელია, სანოტარო კონტარა შეტანის შესახებ გამოაკრავს კონტორის სადგომში განცხადებას და, გარდა ამისა, განმცხადებლის თხოვნით, დაიბარებს კრედიტორს პუბლიკაციის მეშვეობით.

92. დეპოზიტად შენატანი შეიძლება, კრედიტორის თანხმობით, ან სასამართლოს დადგენილებით, დაებრუნოს შემტანს.

## თავი XIX. საარქივო საქმეებისა და დავთრების შენახვა.

93. სანატორო კონტორის წარსული წლის ყველა დამთავრებული საქმე და დავთარი შემდეგი წლის დასაწყისში, მათ აღწერილობასთან ერთად, გადაეცემა შესანახად სანოტარო არქივებს ქ. ტფილისში და ქუთაისში, კუთვნილებისამებრ.

## თავი XX. ტეხნიკური მუშაობა სანოტარო მოქმედების შესრულების დროს.

94. სანოტარო მოქმედების შესრულების დროს სანოტარო კონტორა შეასრულებს ყველა იმ ტეხნიკურ სამუშაოს, რაც დაკავშირებულია დასამოწმებელ გარიგებასთან და სხვა სანოტარო მოქმედებასთან, სახელდობრ: შეიმუშავებს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგების პროექტს, შეამზადებს ასლებს, ამონაწერს, შეადგენს სხვა დაწესებულებისადმი განცხადებებს სანატორო წესით დასამოწმებელ გარიგებასთან და შესამოწმებელ დოკუმენტებთან დაკავშირებით.

95. სანოტარო კონტორა კისრულობს სხვა და სხვა გვარ ისეთი დავალების შესრულებას, რაც დაკავშირებულია სანოტარო კონტორაში შესასრულებელ სანოტარო მოქმედებასთან, კისრულობს აგრეთვე სანატორო წესით დამოწმებული გარიგების ან შემოწმებული დოკუმენტის რეგისტრაციას სხვა დაწესებულებაში, ამ დოკუმენტის გადაცემას ან გადაგზავნას სხვა დაწესებულებებში ან სხვა პირებისათვის, ამა თუ იმ დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებისა ან შემოწმებისათვის საჭირო ცნობების შეკრეფას და სხვა.

## თავი XXI. გადათარგმნა ერთი ენიდან მეორეზე და თარგმნის სისწორის შემოწმება.

96. სანოტარო კონტორა კისრულობს: ა) აქტებისა, დოკუმენტებისა და სხვა ქაღალდების ერთ ენიდან მეორე ენაზე გადათარგმნას და თარგმნის სისწორის შემოწმებას და ბ) უცხო და ადგილობრივ ენებზე დაწერილი აქტებისა, დოკუმენტებისა და სხვა ქაღალდების ასლების სისწორის შემოწმებას.

## თავი XXII. მოწმობის გაცემა მემკვიდრეობის უფლების შესახებ.

97. იმ ადგილის სანოტარო კონტორა, სადაც მემკვიდრეობა გაიხსნება, (სამ. სამ. კოდ. 430 მუხ. მე-2 შენიშვნა და ამ დებულების მე-13 მუხლი), დაინტერესებულ პირთა თხოვნით, სამ. სამ. კოდ. 429 და 432 მუხ. აღნიშნულ ექვსი თვის ვადის გასვლის შემდეგ, გასცემს მოწმობას სამკვიდრო ქონების სათანადო პირებზე და დაწესებულებებზე გადასვლის შესახებ. მოწმობაში მთელი სამკვიდრო ქონების მიხედვით აღინიშნება თუ, სახელდობრ, ვინ და რა წილში არის მემკვიდრე. მოწმობა მემკვიდრეობის უფლების შესახებ მიეცემა დაინტერესებულ პირთ მხოლოდ მის შემდეგ, რაც ისინი წარადგენენ ქვითარს მათ მიერ გადასახდელ სამემკვიდრეო გადასახადის მთლად ან ნაწილ-ნაწილ შეტანის შესახებ.

**შენიშვნა.** იმ პირს, რომლის პრეტენზია სამკვიდრო ქონებაზე გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ მას გარდაცვალებული ინახავდა, მოწმობა სამკვიდრო ქონების მაზე გადასვლის შესახებ შეიძლება მიეცეს მხოლოდ მის შემდეგ, რაც სასამართლო, სამ. სამ. საპრ. კოდ. $234^{13}$—$234^{16}$ მუხ. წესისამებრ, დაადასტურებს, რომ აღნიშნული პირი უსახსროა და შრომის უნარს მოკლებული და რომ იგი ფაქტიურად სავსებით გარდაცვალებულის ხარჯზე სცხოვრობდა არა ნაკლებ ერთი წლისა ამ უკანასკნელის გარდაცვალებამდე.

98. სათანადო მოწმობა მიეცემა აგრეთვე ანდერძით მემკვიდრეებს, უკეთუ ისინი ამას მოითხოვენ.

99. სანოტარო კონტორა შეატყობინებს ადგილობრივ საფინანსო განყოფილებას, რომ მან მიიღო განცხადება მემკვიდრეობის უფლებაზე მოწმობის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემის შესახებ და გაუგზავნის ყველა იმ ცნობას, რაც აღნიშნულია ამა დებულების 97 მუხლში.

### თავი XXIII. დამამტკიცებელი საბუთების უზრუნველყოფა.

100. სანოტარო კონტორა, დაინტერესებულ პირთა თხოვნით, დამამტკიცებელი საბუთების უზრუნველყოფის წესისამებრ, დაჰკითხავს მოწმეებს, მოახდენს ადგილობრივ დათვალიერებას და ექსპერტიზას, იმ შემთხვევისათვის, უკეთუ ამ დამამტკიცებელი საბუთების წარდგენა შემდეგში შეუძლებელი ან მეტად ძნელი იქნება.

101. დამამტკიცებელი საბუთების უზრუნველყოფას სანოტარო კონტორა მოახდენს სამ. სამ. საპრ. კოდ XV და XVI თავებში გათვალისწინებული წესის მიხედვით.

წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად დაიბარება ორივე მხარე.

დამამტკიცებელი საბუთების უზრუნვეელყოფას ერთ-ერთი მხარის დაუბარებლად ნოტარიუსი მოახდენს მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში, ან, უკეთუ შეუძლებელია იმის გამორკვევა, თუ ვის წინააღმდეგ აღიძვრის შემდგომ სარჩელი.

102. დამამტკიცებელი საბუთების უზრუნველყოფისათვის საჭირო ყველა გამოსაღები და ხარჯი, მათ შორის ნოტარიუსის მიმოსვლისათვის საჭირო საგზაო ხარჯი, შეიტანება დამამტკიცებელი საბუთების უზრუნველყოფის შესახებ აღძრულ თხოვნასთან ერთად.

103. სანოტარო კონტორის მიერ დამამტკიცებელი საბუთების უზრუნველყოფის საწარმოებლად მიღების განსაჩივრება არ შეიძლება. სანოტარო კონტორის უარი დამამტკიცებელი საბუთების უზრუნველნოფაზე შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სამაზრო სასამართლოში.

### თავი XXIV. სანოტარო მოქმედების სასყიდელი.

104. სანოტარო მოქმედების სასყიდლის ნიხრი და ამ სასყიდლის გადახდის წესი განისაზვრება იუსტიციის და საფინანსო სახალხო კომისარიატების განსაკუთრებულ დადგენილებით.

### თავი XXV. ინსტრუქციები სახელმწიფო ნოტარიატის დებულებისათვის.

105. ინსტრუქციებისა და ცირკულარების გამოცემა ამა დაგენილების შესაფარდებლად ევალება საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო კომისარიათა საბჭოს დადგენილებანი.

## 158. დადგენილება ს. კ. ს.

**უპატრონო მოზარდებისა და ახალგაზრდობისათვის საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული შრომა-აღზრდის სახლის დებულების დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება უპატრონო მოზარდებისა და ახალგაზრდობისათვის საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული შრომა-აღზრდის სახლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. სექტემბრის 4.
ტფილისი—სასახლე.

## დებულება

**უპატრონო მოზარდებისა და ახალგაზრდობისათვის საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული შრომა-აღზრდის სახლის შესახებ.**

1. უპატრონო მოზარდებისა და ახალგაზრდობის შრომა-აღზრდის სახლის მიზანია საქართველოს სსრ ფარგლებში მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსულ მოზარდებისა და ახალგაზრდობის იძულებითი აღზრდა, გამოსწორება და სასარგებლო შრომაში ჩაბმა.

2. შრომა-აღზრდის სახლში მიიღებიან უპატრონო მოზარდნი და ახალგაზრდანი 16 წლიდან 20 წლამდე ორივე სქესისა შრომა-აღზრდის სახლის საბჭოს დადგენილებით, სათანადო სოციალურ-საექიმო გამოკვლევის შემდეგ.

3. უპატრონო ახალგაზრდა, რომელსაც 21 წელი შეუსრულდება, გაიგზავნება სამხედრო კომისარიატში სამხედრო ბეგარის მოსახდელად საერთო წესისამებრ. ის, ვინც სამხედრო სამსახურში მიღებულ არ იქნება, შეიძლება დატოვებულ იქნეს შრომა-აღზრდის სახლში 22 წლის შესრულებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ის მოზარდი და ახალგაზრდა, რომლის ყოფნაც შრომა-ადზრდის სახლში მიზანშეუწონლად იქნება მიჩნეული, გამოირიცხება ამ სახლიდან საბჭოს დადგენილებით.

5. შრომა-აღზრდის სახლს განაგებს დიროქტორი.

6. შრომა-აღზრდის სახლს ჰყავს საბჭო, რომელშიაც შედიან:

ა) დიროქტორი (იგივე თავმჯდომარე);

ბ) სწავლა-აღზრდის ნაწილის გამგე (დირექტორის მოადგილე);

გ) სამუშაო ნაწილის გამგე;

დ) ექიმი;

ე) პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელი;

ვ) განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

7. საბჭოს სხდომა მოიწვევა საჭიროებისდა მიხედვით, ხოლო თვეში ერთხელ მაინც.

სხდომა კანონიერად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრო არა ნაკლებ 4-წევრისა, მათ შორის დირექტორი ან მისი მოადგილე.

დადგენილება მიიღება ხმის უმეტესობით, ხოლო თუ ხმები თანასწორად გაიყო, მიღებულად ითვლება ის აზრი, რომელსაც მხარს უჭერს თავმჯდომარე.

8. საბჭოს კომპენტენციას შეადგენს:

ა) სწავლისა და მუშაობის გეგმის შედგენა და დამტკიცება;

ბ) მოწაფეების მიღება და გამორიცხვა, ჯგუფებად და არტელებად დანაწილება;

გ) შინაგანწესრიგების შემუშავება და დამტკიცება;

დ) სადისციპლინო ღონისძიების მიღება სათანადო შემთხვევაში;

ე) საერთოდ, სახლის წარმატებისა და განვითარებისათვის ზრუნვა.

9. შრომა-აღზრდის სახლში მიღებული პირნი სცხოვრობენ ამავე სახლში. გამონაკლისი შეიძლება შრომა-აღზრდის სახლის საბჭოს დადგენილებით.

10. მეცადინეობა შრომა-აღზრდის სახლში სწარმოებს სათანადოდ შემუშავებული პროგრამით, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო სამუშაოებით.

11. სწავლა და მუშაობა სავალდებულოა ყველა იმ პირისათვის, ვინც შრომა-აღზრდის სახლშია მიღებული.

12. შრომა-აღზრდის სახლის მოწაფეთა მუშაობა განიყოფება შინამუშაობად და გარე-მუშაობად. პირველი სწარმოებს შრომა-აღზრდის სახლის სადგომში, ხოლო მეორე—შრომა-აღზრდის სახლის გარედ.

13. სამეურნეო მუშაობა, რასაც მიზნად აქვს თვით შრომა-აღზრდის სახლის სამეურნეო მოთხოვნილებანი, უსასყიდლოა.

14. საწარმოო მუშაობისათვის მოწაფეს ეძლევა გასამჯელო: შინავაჭრობისათვის—შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული ნორმით, ხოლო გარე-მუშაობისათვის—სამუშაო ხელფასის 75%, ორსავე შემთხვევაში მოწაფეს მისი კუთვნილი ფულიდან, შრომა-აღზრდის სახლის დირექტორის განკარგულებით ხელზე მიეცემა არა უმეტეს 1/3-ისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. სწავლა-მუშაობაში წარმატებისა და კარგი ყოფაქცევისათვის მოწაფეს მიეცემა სხვა და სხვა, ამ დებულებით გათვალისწინებული, შელავათები, როგორც მაგალითად: ჯილდოს სახით მოწაფეების ნამუშევარის შემოსავლიდან განსაზღრული თანხა, სასეირნოდ მეტი ხნით ქალაქში გაშვება, სახლის გარეშე სამუშაოზე გაგზავნა, ნათესავ-ნაცნობებთან სტუმრად გაშვება, ღამის გათევით ან უამისოდ.

16. მოწაფე-ქალებისათვის უნდა მოეწყოს სრულიად განცალკევებული სადგომი და შესაფერისი სამუშაოები, როგორც მაგალითად ჭრა-კერვა, საოჯახო საქმიანობა, სასოფლო-სამეურნეო და სხვაგვარი სამუშაოები.

17. წესრიგის დარღვევისათვის მოწაფის მიმართ შეიძლება მიღებულ იქნეს შემდეგი სადისციპლინო ღონისძიება:

ა) საყვედური ამხანაგების დაუსწრებლად;

ბ) საყვედური ამხანაგების დასწრებით და ბრძანებაში გამოქვეყნებით;

გ) მორიგეობა რიგს გარეშე, ხოლო არა უმეტეს სამი მორიგეობისა;

დ) საერთო თამაშში, სეირნობაში და გართობაში მონაწილეობის მიღების აკრძალვა ვადით არა უმეტეს ორი კვირისა;

ე) საიზოლიციო ოთახში მოთავსება ვადით არა უმეტეს ორი კვირისა.

18. უკეთუ მოწაფე ისეთ ქმედობას ჩაიდენს, რაც სასამართლოს ორგანოს ექვემდებარება, საქმე გაიგზავნება ქვემდებარეობისამებრ, ხოლო უკეთუ საზოგადოდ მოწაფის ყოფა-ქცევის გამო მისი დატოვება შრომა-აღზრდის სახლში შეუძლებელია, იგი გადაიგზავნება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებაში სხვა ადგილას გადასასახლებლად,

19. მე-17 მუხ. „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნულ სადისციპლინო ღონისძიებას მიიღებს დირექტორი; იმავე მუხლის „დ“ და „ე“ პუნქტებით გათვალისწინებულ ღონისძიებას—ვადით არა უმეტეს შვიდი დღე-ღამისა—მიიღებს დირექტორიე, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში სადისციპლინო და აგრეთვე მე-18 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიება მიიღება საბჭოს დადგენილებით.

20. შრომა-აღზრდის სახლში მოთავსებულ პირთა კვებისა და ტანსაცმლის ნორმას შეიმუშავებს საბჭო და დაამტკიცებს შრომის სახალხო კომისარიატი.

21. საექიმო დახმარების საქმე მოეწყობა ჯანმრთელობისა და შრომის სახალხო კომისარიატების ურთიერთი შეთანხმებით.

22. შრომა-აღზრდის სახლთან მოეწყობა სოციალურ-ეკონომიური და ფსიქიატრული გამოკვლევის ბიურო, რომელიც იმუშავებს არსებული დებულების მიხედვით.

23. შრომა-აღზრდის სახლის დირექტორს, სწავლა-აღზრდის ნაწილის გამგეს, სამუშაო ნაწილის გამგეს და ექიმს დანიშნავს თანამდებობაზე შრომის სახალხო კომისარიატი, ხოლო სხვა თანამშრომლებს—შტატის მიხედვით—დანიშნავს შრომა-აღზრდის სახლის დირექტორი.

24. შრომა-აღზრდის სახლს აქვს თავისი ბეჭედი.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 159. დადგენილება ს. კ. ს.

**სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების, სამანქანო, სამელიორაციო, სათესლე და სხვა მარტივ სასოფლო-სამეურნეო და აგრეთვე საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობათა წესდების რეგისტრაციის წესის შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივის, სამანქანო, სამელიორაციო, სათესლე და სხვაგვარი მარტივი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის წესდებისა— უკეთუ მათი სამოქმედო რაიონი არა სცილდება სათანადო მაზრის აღმასკომის ტერიტორიას, აწარმოებს აღნიშნული მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის საადგილ-მამულო განყოფილება, ხოლო თუ სამოქმედო რაიონი აღემატება ერთ მაზრას, იმ მაზრის აღმასკომის საადგილ-მამულო გმნყოფილება, სადაც კოოპერატივის გამგეობა იმყოფება.

2. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო-კოოპერატიული და სარეწაო საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობების და მათი კავშირების წესდების რეგისტრაციას აწარმოებს ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

3. მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის საადგილ-მამულო განყოფილება ამხანაგობის წესდების ასლს, რეგისტრაციის შემდეგ, ერთი კვირის ვადაში გადაუგზავნის ცნობად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირს (სოფლის კავშირს), ხოლო, თუ ეს იქნება სამელიორაციო ამხანაგობა,—საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოსაც.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი წესდების ასლს რეგისტრაციის შემდეგ ერთი კვირის ვადაში გადაუგზავნის: სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობისას და მათი კავშირისას: სოფლის კავშირს და სათანადო მაზრის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებას, ხოლო სარეწაო საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობებისას და მათი კავშირისას— სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირს.

4. მიენდოს აფხაზეთის სს რესპუბლიკისა და აჭარისტანის ავტონომიურ სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოებს და აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ ორი კვირის განმავლობაში ანალოგიური დადგენილება—ამა დადგენილების 1 და 2 მუხლებში აღნიშნული კოლექტივებისა და ამხანაგობების რეგისტრაციის შესახებ იმ განსხვავებით, რომ სასოფლო-სამეურნეო საკრეტიტო კოოპერატიული ამხანაგობების წესდების რეგისტრაცია უნდა ხდებოდეს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში, ხოლო დანარჩენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობების წესდებების რეგისტრაცია უნდა ხდებოდეს პირველ ორ რესპუბლიკაში სამაზრო აღმასკომების საადგილ-მამულო განყოფილებაში, სამხრეთ-ოსეთში კი—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. ნოემბრის 13.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 160. დადგენილება ს. კ. ს.

**„კოოპერაციის საქმეთა მმართველობისათვის „1927 წ. ივლისის თარიღით გამოცემული დებულების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპულიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

კოოპერაციის საქმეთა მმართველობის დებულების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტი (საქ. კან. კრებ. 1927 წ. № 7, მუხ. 112) შეიცვალოს შემდეგნაირად:

„გ“ პუნ. რეგისტრაციის წარმოება როგორც პირველი საფეხურის, ისე სარაიონო და ცენტრალური კოოპერატიული ორგანიზაციებისა, გარდა საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობათა და მათი კავშირებისა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებისა, სამანქანო, სამელიორაციო, სათესლე და სხვაგვარ მარტივ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. ნოემბრის 13.
ტფილისი—სასახლე.

---

## 161. დადგენილება ს. კ. ს.

**კერძო მასწავლებლობის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სასწავლებლის გარეშე მასწავლებლობა (კერძო) ნებადართულია: ა) იმ პირთა სწავლებისათვის, რომელნიც სასწავლებელში არა სწავლობენ; ბ) ამა თუ იმ პირის სასწავლებელში მისაღები გამოცდისათვის მოსამზადებლად და გ) ამა თუ იმ სასწავლებლის მოწაფეთა მომზადებისათვის.

2. წინა მუხლში აღნიშნული მასწავლებლობა შეუძლიანთ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც აქვთ განათლების სათანადო ცენზი, რაც დამოწმებულ უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტებით: ა) შრომის სკოლა—შვიდწლედის სასწავლო პროგრამის ფარგლებში საგნების სწავლებისათვის—ისეთი სასწავლებლის დამთავრების მოწმობით, რომელიც შრომის სკოლა—შვიდწლედში სწავლების უფლებას იძლევა; ბ) უმაღლეს სასწავლებლებში და ტეხნიკუმებში შესასვლელად მომზადებისათვის—უმაღლესი სასწავლებლის სრული კურსის დამთავრების მოწმობით ან ისეთი მოწმობით, რაც შრომის სკოლის მე-8 და 9 ჯგუფების სწავლების უფლებას იძლევა; გ) უცხო ენების სწავლებისათვის—ისეთი მოწმობით, რაც სათანადო უცხო ენის სწავლების უფლებას ადასტურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენიშვნა.** იმ პირს, რომელიც ამა მუხლში აღნიშნულ მოთხოვნათ არ შეესაბამება, ხოლო რომელსაც აქვს საკმაო პედაგოგიური გამოცდილება, პედაგოგიური მოღვაწეობა, შეუძლიან მხოლოდ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების განსაკუთრებული ნებართვით.

3. სკოლის გარეშე ჯგუფობრივი მეცადინეობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ თვითეულ ჯგუფში ხუთ კაცზე მეტი არ არის.

4. მასწავლებლის მიერ იმ სასწავლებლის მოწაფის მომზადება, სადაც იგი მასწავლებლობს, აკრძალულია.

5. ის პირი, რომელიც ამა თუ იმ სასწავლებლის მოწაფეს ამზადებს, მოვალეა აცნობოს ეს საათნადო სასწავლებელს ერთი კვირის ვადაზე.

6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 212 მუხლის თანახმად.

7. განათლების სახალხო კომისარიატს ევალება: ა) ერთი თვის ვადაზე გამოაქვეყნოს იმ სასწავლებელთა სია, რომელთა დამთავრებაც, ამა დადგენილების მე-2 მუხ. თანახმად, კერძო მასწავლებლობის უფლებას იძლევა და ბ) იმავე ვადაზე გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. ნოემბრის 13.
ტფილისი—სასახლე.

საქართველოს სახ. კომის. საბჭოს საქმეთა მმართველობის ს ტ ა მ ბ ა
მთავლიტი 1.974 ტირაჟი 1.250